


„ხარს ვგეგვარ ნაიალარს, რქით მიწასა ვჩხვერ ვებუბუნებ.
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვღუღუნებ.“ ვაჟა



თავისუფლება

825 /2
1979



საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორბანო

გამოცემის პასუხისმგებელი: ვიორჯი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

N24. PARIS. JANVIER-FEVRIER-MARS 1979 იანვარი-თებერვალი-მარტი. პარიზი. №24

გამოცემის მეექვსე წელი

*Djobadze's
Library*

ახალი 1979

წელმა ახალმა
სეგბედნიერმა
გახსნას საკეტი
ხუნდ-ბორცილების,
და შეანათოს
ყველა საკნებში
ზღვა სიხარულმა
თავისუფლების!
გაიცისკროვნოს
რძისდრად ცის თალი
და გადაყაროს

ჯანლი კამარას,
რომ გზა დაუთმოს
ქვეყნად სინათლეს,
დილას მაისის,
მშვიდს და კამკამას!
რომ შარაეანდი
უბორკილობის
ადგეს გვირგვინად
ყველა მთას და და ბარს.
ლადობდეს ყველა
ერი თანაბრად

და შეჰხაროდეს
ქვეყნად მშვილობას!
ფართედ გაეხსნათ
ხშული საზღვრები,
სხვათა თანაბრად,
შორს ყოველ ქართველთაც.
შეაღონ კარი
დიდხნის უნახავ
ძველ მეგობართა
და ნათესავთა!

* * * *

როზა აბნერაშვილი

შინაარსი : .2 „გილოცავთ 1979 წელს“-მოწინავეს მაგიერი; .7 „1979: სსრკ და მსოფლიო“-სალომე დარბაისელი; .10 „14 აპრილის მანიფესტაციის შესახებ“- გაზუთ „ლე მონდ“-ის მიხედვით; .11 „ღია წერტილი აკადემიკოს ნიკო კეცხოველს“-გიორგი წერეთელი; .13 „ავთანდილ იმნაძის გასამართლება“- .14 „1500 წლის წინანდელი გაკეთილი“- გ. ქართველი; .17 „საქ. დაპყრობის 58 წლისთავი“- გრიგოლ წერეთელი; .19 „კურიშკოს ძეგლი წითელწყაროში“- ვალიკო ჩუბინიძე; .20 „ვლადიმერ ჟვანიას დახვრეტის წლისთავი“, „გილოცოთ ვლადიმერ ჟვანიასთვის“-დეკანოზი ილია მელია; .21 „მიხეილ წერეთლის დაბადების 100 წლისთავი“- გიორგი წერეთელი; .23 „მცნებანი ახალგაზრდობას“- მიხეილ წერეთელი; .26 „მაიორი გიორგი ჯავახიშვილი“- ვიტალი უგრეხელიძე; და სხვა.



თუმცა ეს ნომერი დავიანებთ მივა მკითხველებამდის, მაინც ის განკუთვნილია სახალ-
წლოდ და მისი პირველი ნაწილი აჯამებს 1978 წლის მთავარ მოვლენებს.

ამიტომ, უპირველესად მოგილოცავთ ბენდიერს 1979 წელს, ვისურვებთ ჯა-
ნმრთელობას და ყველა იმ მიზნების და სურვილების განხორციელებას, რომლებიც თითოეულ
თქვენთაგანის სიცოცხლეს აცისკროვნებენ. თუ ზოგიერთი მათგანი თითოეულისათვის გან-
სხვავებულია, ერთი მაინც ყველა მამულიშვილს საერთო გვაქვს - ჩვენი სამშობლოს განთა-
ვისუფლება უცხო ერის მპყრობელობისაგან. და, სწორედ ეს 1979 წელი ყოფილიყოს ამ
ჩვენი საერთო და სანუგეზო მიზანსწრაფვის მიღწევის წელი.

ამ ახალი წლის დასაწყისში ჩვენი თანაგრძნობა და თანადგომა უპირე-
ლესად მიმართულია ყველა მთკვენ, ვინც თავის შესაძლებლობის ფარგლებში იბრძვის და
იღწვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი ღირსეული მომავლის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი მხურვალე სალამი და გამხნევება საბჭოთა „გულაგებში“ მყოფ მამუ-
ლიშვილებს. ეს წელი ყოფილიყოს მათი განთავისუფლების და გამარჯვების წელი.

დიდება ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდობას. გასულ წელში, მან წარმატებით
მოიგერია კრემლის მბრძანებელთა ცბიერი და მეტად სამშიში შემოტევები დედაენის,
ერის ამ მთავარი განმსაზღვრელი ნიშნის, წინააღმდეგ.

თუ დღეს სიამაყით ვახსენებთ გასული წლის 14 აპრილის საპროტესტო მანი-
ფესტაციას, რომელიც დროულად და სამაგალითოდ იყო მოწყობილი, არ უნდა დავივიწყოთ,
რომ მის მომზადებაში დიდი დამსახურება მიუძღვით: ვლადიმერ უვანასი, მისი ბოძების
აღეთქებით და მოწამებრივი სიკვდილით, მწერლები : ნოდარ წულუისკიას და რევაზ ჯა-
ფარიძეს, მათი გაბედული სიტყვებით მწერალთა კავშირში, და ბოლოს, ზვიად გამსახურ-
დიას და მის პოლიტიკურ მეგობრებს, რომლებმაც თავიანთი თვითგამოცემებით, ქართულ
და საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს გააცნეს კრემლის მზაკვრული პოლიტიკა, მის
წინააღმდეგ წარმობებული, ფართო საზოგადოებისათვის დამალული, აქტიური თუ პასიური
წინააღმდეგობა, და მით, წინადაც მოამზადეს 14 აპრილის გადამწყვეტი გამოსვლისათვის.

თბილისის მანიფესტაციით ქართველმა ხალხმა ხიდი გადავა მის დიდებულ წა-
რსულთან. მსოფლიოს დაანახვა, რომ ის მარტო დიდი წარსულის ერი კი არ არის, არა-
მედ ღირსეული მომავლისაც, რადგანაც ის დღესაც ენერგიით და სიცოცხლით სავეს ერია.

ქართველი ერა თავის ცხოველმყოფელობას არა მარტო პოლიტიკურში, არამედ
მრავალ სხვა სფეროებშიც ავლენს აკამარისია დავასანულოთ სპორტი, ხელოვნება და მე-
ცნიერება.

ს ს პ ო რ ტ ი. ქადრაკის თამაში გონებრივი სპორტის უმაღლესი დარგია. მასში
მსოფლიოში თავის გამაჩენა, დიდ ნიჭთან ერთად, მოთამაშისაგან მოითხოვს თეორიის დრმა
ცოდნას და დაუღალავ ვარჯიშობას. ე.ი. გონებრივი შრომის დიდ უნარს და ნებისყოფას.
უქანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ქადრაკის მსოფლიო დღეობათა ქართველი
ნანა გაფრინდაშვილი იყო. გასულ წელში, ეს საათიო მოვლება, მის მისნავე თანამემამუ-
ლე გოგონამ, მია ჩიბურდანიძემ ჩამოართვა. დღეს მსოფლიოში ყოველგვარი კონკრეტაცი-
ის“ გარეშე, სამი უძლიერესი მოქადრაკიდან სამივე ქართველია: მია ჩიბურდანიძე, ნო-
ნა გაფრინდაშვილი და ნანა აღექსანდრია.

ფეხბურთი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს შთელს საბჭოთა კავში-
რში. თბილისის დინამოს გუნდი, გასულ წელში საბ. კავშირის პირველობაზე გამართულ
ჯიბრიდან, გამარჯვებული გამოვიდა. ასევე, საბჭოთა კავშირში ყველაზე ძლიერია თბილი-
სის „ლოკომოტივის“ რეგბის გუნდი. წლების განმავლობაში საბჭოთა ჩოგბურთის წარმომ-
დგენელია ქართველი აღექსანდრე მეტრეველი. ქართული ჭიდაობა, ძალის, სისწრაფის და
ხერხის ნამდვილი ზემო, უბაღლაა შთელს მსოფლიოში. მასში გაწვრთნილი ქართველი მო-
ქიდავები, ათეული წლების განმავლობაში, თავისუფალი ჭიდაობის მსოფლიო ფალანგები
იყვნენ და არიან. საერთაშორისო ოლიმპიადებზე ქართველ სპორტსმენებს შიერ მნილე-
ბული ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალების სიმრავლე 30-40 ათწლიან ერებსაც



გაამაყებდა.

ქართული ხალხური ცეკვების და სიმღერების გუნდების წარმოდგენებს აღტაცებაში მოჰყავს მაყურებლები, მთელს მსოფლიოში.

მიუხედავად მკაცრი დეოლოგიური შეზღუდვისა, ქართული თეატრი დიდი წარმატებით გამოდის ევროპის და ამერიკის კონტინენტებზე.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სულ რაღაც სამი წლის არსებობა საკმარისი გამოდგა ქართული სკოლის და ქართული მეცნიერების ბიძგისათვის. დღეს ქართველი მათემატიკოსები, ექიმები, ენათმეცნიერები, კომპოზიტორები, მხატვრები, არქიტექტორები და ა.შ. აღიარებულნი და სახელგანთქმულნი არიან მთელს დედამიწის ზურგზე.

113

ჩვენ უკეთესი გვინდა ჩვენი ერისთვის, მაგრამ ასეთი წარმატებებიც სამართლიანად გვეამაყება. გვეამაყება არაიმიტომ, რომ, აქედან გამომდინარე, ჩვენი ერის უპირატესობა ვიქადაგოთ, მისი სხვებზე ბატონობა გავამართლოთ, როგორც ამას რუსები სჩადიან, არამედ იმისთვის, რომ ქართველი ერის თანასწორუფლებიანობა მოვითხოვოთ და დავიცვათ, ჯერ თვით რუსების წინაშე და შემდეგ საერთაშორისო ფორუმებზე. რაც მთავარია, ყოველ ქართველში უნდა დაისადგუროს ეროვნული ტოლფასუვნების ურყეველი შეგნებამ. მათ ეუბნებიან: რუსების ბრძანებას უნდა დავემორჩილოთ, რადგანაც თქვენ პატარა ერი ხართ. როგორც კაცი არ ფასდება სიმადლითა და წონით, ისე ერებიც არ შეიძლება მათი რიცხვით დაფასდნენ, და საერთაშორისო უფლებებიც ამის კვალობაზე მოითხოვონ, რადგანაც თუ ამ გზას გავყვებით, მაშინ არც რუსები აღმოჩნდებიან სახარბიელო მდგომარეობაში, ისინიც მანამ უფრო მრავალრიცხოვან ერების ბრძანებზე უნდა დავემორჩილონ.

ამრიგად, ზემოდ თქმულიდან დასკვნა ხართ: ქართველ ხალხს არა მარტო ღირსეული წარსული აქვს, არამედ ის დღესაც სიცოცხლით სავსე, ჯანსაღი ერია და მას ამიტომ ღირსეული მომავალიც აქვს. შეუძლებელია მას ხანგაძლივად წაართვან ღვით ნაძობები უფლება: იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი.

კრემლი, თითქოს, მოუმიზანდებელი შეხვდა ქართველთა პატრიოტიზმის ასეთ ვაბედულ და მასიურ გამოვლინებას. ის იძულებული გახდა, მისთვის უჩვეულო, იმპროვიზაციისათვის მიემართა. დღეს აშკარაა: 14 აპრილის თბილისის მანიფესტაციების დროს, ხელისუფლება მერყეობდა დათმობაზე წასვლასა და ძალის გამოყენებას შორის. ჯერ კიდევ დანამდვილებით ცნობილი არ არის თუ რა პირობებში მოხდა დათმობა და ვის ან რას უნდ ეუმადლოდეთ, რომ უიარაღო და მშვიდობიანი გამოსვლა სისხლში არ იქნა ჩახრჩობილი.

რა თქმა უნდა, მარტო ქართველების დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა. სომხეთის, აზერბაიჯანის და სსრკ-ში შემავალი ყველა სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციებიც სასწრაფოდ იქნენ შესწორებული; ამრიგად, თბილისის მანიფესტაციები, თავისი შედეგებით, შორს ვასცდა საქართველოს საზღვრებს. მან მიიღო სრულიად საკავშირო მნიშვნელობა. ბრეჯნევის და მისი პოლიტიურის ცდა, მათ მიერ წარმოებულ გარუსების პოლიტიკას ლეგალური, კონსტიტუციონალური ფორმა მიეცემოდა, სამარცხვინოდ ჩაიშალა და მათ მიერ შექმნილი მითი „ერთი საბჭოთა ხალხის“ ფორმაციისა, ხელის ერთი მოსმით, ისტორიის სანაგვე ყუთში იქნა გადასროლილი.

რასაკვირველია, კრემლი ადვილად ვერ შეურიგდებოდა მის ასეთ მარცხს. მძიმედ ამუშავდა მისი დამბლადაკემული აპარატი. ჯერ მათ მიმართეს ინტრიგებს ქართველების და აფხაზების გადასაკიდებლად. ქართველებმა აქაც ერთსულოვნება გამოიჩინეს და აფხაზების სიძულვილისა და მტრობის ანკესზე არ წამოვიგენ. შემდეგ კი, წლის ბოლოს მან ამუშავა მისი ყველაზე უფრო საიმედო და გამოცდილი იარაღი პოლიციური და ადმინისტრაციული დასჯისა. თანამდებობიდან გადააყენეს დიდძალი პასუხისმგებელი პირი. წმენდის ციკლი შეეხო მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს და თვით საქართველოს კომპარტიც. კომიტეტის სამდივნოს. იქნებ ყველაზე მეტი მნიშვნელობის იყოს ის ფაქტი, რომ კრემლის უნდაობლობა გამოიხატა ისეთი თანამდებობის პირების მიმართ, როგორებიცაა რესპუბლიკის პროკურორი და სასამართლოს უფროსი. ორივე მოხსნილი არიან და შეცვლილი ახალი პირებით. ოფიციალურად ამ უკანასკნელებს ბრალდებათ კრიმინელობის არაჩვეულებრივი გავრცელება, ხოლო დანარჩენებს თავთავიანთ დარგებში



გეგმები შეუსრულებლობა, ცული ხელმძღვანელობა. მაგრამ ეს ძველი გაცვეთილი მანქანები დღეს წეცლოში ვეღარაის შეიყვანს, მზიანი დღის სინათლესათი ცხადია: თხზულებების რბლი არიან 14 აპრილის მინიფესტაციების. ზოგს ალბათ ბრალდება მისადმი სიმპატიების გამომცდევება, ზოგსაც სათანადო სიფხიზის გამოუჩენლობა, ყველა ერთად კი, სანდონი აღარ არიან რევიმისათვის. ნახევარი საუკუნის განმავლობაში არაერთხელ ნახმარ ფანდს დღესაც მიმართავენ, რევიმისათვის პოლიტიკურად არასაიმედო ამ ყოფილ ხელქვეით ხელმძღვანელობის ბრალდება ყველა ის ეკონომიური სიდუხჭირე რომელსაც განიცდის საქართველო-ს მისახლება და არ უნდა გაგვიკვირდეს თუ მათ, ახლო მომავალში, პროცესებს მოუწყობენ საბოტაჟისა და მანევრების ბრალდებით. ახლო წარსულშიაც ხომ სპეკულაციის, კორუპციის და სხვა ნეგატიური მოვლენების ბრალდებით გადააყენეს ვასილ შევანაძე და მისი საქართველოს მმართველი ხელმძღვანელობა. ამჟამად წმინდები მიმდინარეობს თვით საქ. კომპარტიის პირველი მიღენის ედ. შევარდნაძის ოფიციალური პასუხისმგებლობით. ჯერ-ჯერობით ბრვენება მას ნდობა გამოუცხადა, კიდევაც დააწინაურა. სსრკ-ს ცეკას პოლიტიბურის წევრობის კანდიდატობა უწყალობა. გამობთ ჯერ-ჯერობით, რადგანაც ძნელია თქმა თუ მომავალი მას რას უშზადებს. პოლიტიკური ადამიანის დაწინაურება უნდა ხდებოდეს მისი ხალხის მიერ, მისი ხალხის სამსახურში, ხოლო საკუთარი ერის მპყრობელის სამსახურში მყოფის კარიერა აღერ თუ გვიან განწირულია. ამის მაგალითი ბევრია თვით ქართველ ბოლშევიკ-კომუნისტებშიაც, რომ სხვაგან წასვლა არ დაგვირდეს.

ყველა ზემოთქმულიდან ცხადია: დედანისათვის წარმოებული ბრძოლა ჯერ საბოლოოდ მოგებული არ არის და, რომ თავი თვითკამათილებას და უზრუნველობას არ უნდა მიეცეს. პირიქით, საქირია დიდი სიფხიზლე და თავდაუზოგავი ბრძოლა რათა ეს ერთი წარმატება დედანის სრულ გამარჯვებად გადაიქცეს. ქართულმა ენამ, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, არა მარტო კონსტიტუციური აღიარება, არამედ ცხოვრებაშიც ბიბონობა უნდა მოიპოვოს. არა მარტო ქართულ სკოლებში უნდა ქართულად წარმოებდეს სწავლება, არამედ, აგრეთვე, ქართული ენა უნდა ვახდეს საქ. ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნების ურთიერთობის ენაც. ამას იმპერიალისტი რუსები უწოდებენ „ჩამორჩენილ ნაციონალისტობას“, მაგრამ თუ ისინი წინ წასული ინტერნაციონალისტები არიან, ჯერ ანთ მოვეცენ მაგალითი და რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად, რუსულას ადგილას, ქართული, სომხური ან თურქული შემოვიღონ.

საერთაშორისო სარბიელზე

აქვე იბეჭდება სალომე დარბაისელის დასაბუთებული ანალიზი გასულ წელში მომხდარი საერთაშორისო ამბების. მე აქ დამატებით განვიხილავ მხოლოდ რომის პაპის და ჩინეთის საკითხებს.

რომის ახალი პაპი

გასული წელი განსაკუთრებული იყო. ზედიზედ გარდაიცვალნენ პაპი პავლე მეექვსე და მის ადგილზე არჩეული ივანე-პავლე პირველი. 1459 წლის შემდეგ პირველად, კათოლიკური ეკლესიის კარდინალთა კრებამ, 16 ოქტომბერს, პაპის ტახტზე აიყვანა არაიტალიელი, პოლონეთის ეკლესიის კარდინალი, კვაკოვის კათოლიკური ეკლესიის პატრიარქი კაროლ ვოყტილა. როგორც პაპმა, მან აირჩია ივანე-პავლე მეორეს სახელწოდება.

კათოლიკურ ეკლესიაში მომხდარმა ამ ცვლილებამ, ფართო და დადებითი გამოხმაურება პპოკა არა მარტო კათოლიკურში, არამედ ყველა სხვა ეკლესიების და თვით ღმერთის უარყოფელთა შორეულში.

ცნობილია: კათოლიკური ეკლესია კრიზისის განიცდის. ის იმყოფება განახლებისა და ძველი ტრადიციების შენარჩუნებისათვის ბრძოლის გზაჯვარედინზე და როგორც პაპმა პავლე მეექვსემ თქვა „მას ემუქრება შინაგანი განადგურების საფრთხე.“ მიუხედავად ამისა, შეუძლებელია უარყოფა, რომ რომის პაპს ჯერ კიდევ დიდი მორალური გავლენა აქვს, მთელს მსოფლიოში. უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკურმა ეკლესიებმა უკვე დაიცივეს თავი კომუნისტურ რეჟიმებისაგან, ვიდრე მათლმადიდებელმა ეკლესიებმა. მათ შორის გამოირჩევა კოლონიის ეკლესია, რომელიც ერთიად მეორე ხელისუფლებას წარმოადგენს და პოლონეთის ტერიტორიის დაპყროფებისაგან გამომხატველია საბჭოების ბატონობის წინააღმდეგ. დღევანდელ



ლი პოლონური ეკლესიის ფართო ხალხოსნური საფუძველი სამაგალითოა მსოფლიო ეკლესიებს შორის. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია მისი ერთერთი წარმომადგენლის დაწინაურებამ მსოფლიო ეკლესიის მწვემსად. ამ მოვლენამ დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს, როგორც პოლონურ, ისე ყველა სხვა, საბჭოების მპყრობლობის ქვეშ მყოფ ეკლესიებზე. იმედი გვაქვს, რომ ქრისტიანული საარწმუნოების ეს გამაჯანსაღებელი ნიავეი მისწვდება სრულიად საქართველოს, დღეს დაბეჩავებულ, მარალმადიდებელ ეკლესიასაც.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ივანე-პავლე მეორის ჰომილიებსა და განცხადებებში, განსაკუთრებული სიყვარულით და მზრუნველობით, ადგილი ეთმობა მის მშობლიურ პოლონეთს; ესენი თავისთავად მეტყველებენ, რომ რომის პაპისათვის საკაცობრიო მისია ჰარმონიულად შეთავსებულია მისი შემადგენელი ერების მიმართ ზრუნვასთან და, რომ თითოეული ადამიანი, რაგინდ ამაღლებულ თანამდებობას ის არ ასრულებდეს საერთაშორისო სარბიელზე, უპირველესად თავისი ერის შვილია და ამიტომ ბუნებრივია, რომ მან უპირველესად მშობელი ერის ბედზე იზრუნოს. ზოგიერთ ბრძევა ჩვენში ჰგონია და კიდევაც ცდინი სხვები დაარწმუნოს თითქოს ეს მიდრეკილება ადამიანში იყოს „ჩამორჩენილობის“ ან „კუთხური, დასაძრახი, პატრიოტიზმის“ ნიშანი. თუ მათ დაბნეულ თეორიებს გამტყუნება ესაქიროებათ, ამის საუკეთესო მაგალითი თვით რომის მსოფლიო ეკლესიის პაპია.

ჩინეთი

გასულ წელში, ჩინეთში მოხდა დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ხაზით. შეინი, მას ქვრივის და მისი თანამოაზრეების ლიკვიდაცია, მარტო ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად წარმოებული ბრძოლა კი არ გამოდგა, არამედ გაცილებით უფრო ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობის. ეგრედ წოდებული კულტურული რევოლუცია და მისი შედეგები, ჩინეთის ინფსტრუქციის, მეცნიერების და ტექნიკის განვითარების უარყოფა, დაგმობილი იქნა. დისახა გეგმები და სათანადო პრაქტიკული ღონისძიებებიც განხორციელდა, რათა ჩინეთი, ამ საუკუნის ბოლოსთვის გახდეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ მძლავრ სახელმწიფო. ამ პოლიტიკის შესაბამისად, მას მემკვიდრეები ჩინური კედლის კარებებს ფართოდ უღებენ უცხოეთის კაპიტალს და, ამავე დროს, შინაური წარმოების წესის რეორგანიზაციასაც ახდენენ. ხელს უწყობენ, აქეზებენ კერძო წარმოებას. ძველ მუპატრონეებს უბრუნებენ კულტურული რევოლუციის დროს ჩამორთმეულ ფაბრიკა-ქარხნებს და თვით დანაკარგის ანაზღაურებასაც ჰპირდებიან, რომ მათ შეძლონ ალბათ გაბარტახებულ საწარმოებების ამოქმედება. ამ ღონისძიებებთან ერთად, იგრძნობა ჩინეთის ახალი მესვეურების ფრთხილი მოქმედება ხალხში ახალი განწყობების შესატანად. მაგალითად უცხოელ და მეტავალყურეები გაკვირვებული იტყობინებიან, რომ ადგილი აქვს ჩინელი მუშების და გლეხების მანიფესტაციებს, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების, ან ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნებით. იყო ცნობები: ჩინელი მანიფესტანტები მოითხოვდნენ, რომ ამერიკის პრეზიდენტს დაეცვა ჩინეთში ადამიანის უფლებები. ყველაფრიდან ჩანს, რომ დღევანდელი კომუნისტური ჩინეთი იმყოფება საბჭოთა კავშირში ცნობილ „ნების“ ხანაში. ძნელია მკითხაობა თუ რა სახეს მიიღებს ის მომავალი.

ჩინეთმა კიდევ უფრო დიდი ცვლილებები განიცადა საგარეო პოლიტიკაში. უარყოფილი იქნა მათი უცხოელის დოქტრინა, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირი და ამერიკის შ.შ.ში ერთნაირად იმპერიალისტური სახელმწიფოები იყვნენ და ერთდამივე დროს ჩინეთს უნდა ეწარმოებია ბრძოლა მათი ჰეგემონიზმის წინააღმდეგ და, მის მაგივრად, ჩინეთის და კაცობრიობის უსაშიშრეს მტრად გამოცხადდა საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმი.

ამ ვადაწყვეტილებების შესაბამისად, ჩინეთის ხელისუფლებამ კიდევაც გაშალა დიპლომატიური საქმიანობა ქვეყნების ყოველი მიმართულებით. ჩინეთი აღარ კმაყოფილდება აზიის შორეული აღმოსავლეთით, ის წინ უდგება და ხელს უშლის საბჭოების შეჭრას აფრიკის კონტინენტზე, აქეზებს დასავლეთ ევროპას შეერთებული ძალებით წინ აღუდგნენ მოსკოვის მუქარას და, რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, თვით საბჭოთა ნაკრძალად გამოცხადებულ აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ სამყაროშიც იჭრება, ისე, რომ მსოფლიო



დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს, როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური და მთავრობის მეთაურმა ჰუაო გო ფენმა იუგოსლავიის შემდეგ, რუმინეთში და მით რუმინეთის კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგობას კრემლის ბრძანებლობაზე ჩინეთის ოფიციალური და საჯარო მხარდაჭერა გამოუცხადა.

ვაცილებით უფრო დიდი საერთაშორისო მოვლენა იყო ჩინეთსა და იაპონიას შორის მეგობრობისა და ვაჭრობის ხელშეკრულების დადება და ჩინეთსა და ამერიკის შ. შ.-ს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. ორივე ამ მოვლენას, თავიანთი შედეგებით, უზარმაზარი მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ ამ სამი სახელმწიფოს ხალხებისათვის, არამედ მთელი კავშირებისთვისაც.

ჩინეთის ხელისუფალნი არ მალავენ თავიანთ მტრობას საბჭოთა მთავრობისადმი, პირქით, ისინი ქვეყნიერებას აფრთხილებენ, რომ კრემლის მიერ გამოცხადებული დეტანტის პოლიტიკა მხოლოდ თვალთმაქცობაა და სინამდვილეში მას განზრახული აქვს მოფლიოზე გაბატონება. სამავიერთი ისინი ფრთხილად მოქმედობენ და ჯერ-ჯერობით ავანტიურებს ერიდებიან. იმათ დახმარების საჯარო ხელშეკრულება კი არ დაუდევიათ საბჭოთა კამპუჩის კომუნისტურ რეჟიმთან და მით მოქმედების სრული თავისუფლება შეინარჩუნეს, მაშინ, როცა ლ. ბრეჟნევმა, სულწასულივით, სასწრაფოდ დახმარების ხელშეკრულება დაუდვა ვთაშამებულ და იმპერიალისტურად განწყობულ ჰანოის მთავრობას და მით ხელი შეუწყო კამპოჯის სახელმწიფოს ოკუპაციას. დღეს ამის გამო ვიეტნამიც და მისი მფარველი საბჭოებიც მსოფლიო ხალხთა სამსჯავროს წინაშე იმყოფებიან, როგორც აგრესორები და იმპერიალისტები. გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში საჭირო იყო საბჭ. მთავრობის ვეტო, რომ იქ მისთვის არასასურველი დადგენილება არ გამოეტანათ, მაგრამ ცნობილია, რომ ვეტო ყველაზე უკიდურესი საშუალებაა. ის ძალმომრეობას გამოხატავს და არა უფლებას.

რაც დრო გადის ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მტრობა თანდათან ძლიერდება და ამ ორ კომუნისტურ ქვეყნის შორის გადამწყვეტი ბრძოლა აუცილებელი ხდება. სასაცილოა, როცა საბჭოთა მთავრობა აფრთხილებს დემოკრატიულ ქვეყნების მთავრობებს იმ საშიშ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ ჩინეთისათვის უახლესი ტექნიკის და სამხედრო იარაღის მიყიდვას. ნუთუ მას აღარ ახსოვს, რომ კომუნისტური მოძრაობა ჩინეთში ხელოვნურად შეიტანა, გააღვივა და გააბატონა საბჭოთა რუსეთმა. იგივე საბჭოებმა შეაიარაღეს ყოველგვარი სამხედრო იარაღით და თვით ატომური ბომბის დამზადების საიდუმლოებაც იმათ ასწავლეს, მთელ ჩინეთში გაბატონებულ მის კომუნისტურ რეჟიმს?

კრემლის მართველებს ეგონათ, რომ ჩინეთის კომუნისტები მუდამ მათი ბრძანებების შემსრულებელი იქნებოდნენ. მაომ ისინი ყინულზე გაყარეს, ჩინეთის ინტერესები პარტიულზე მაღლა დააყენა და ნელნელა ჩინეთი მის ყოფილ მფარველ საბჭოთა კავშირს ჩამოაშორა. კრემლმა მრავალი ხერხი ცადა შინაური გადატრიალებით ძველებური გავლენა აღედგინა, მაგრამ ამაოდ. ამ უკანასკნელ წლებში, ბრეჟნევი, ჩინეთის მიმართაც ისეთივე ციბერ პოლიტიკას აწარმოებს, როგორც ატლანტიკის პაქტის სახელმწიფოების მიმართ. ერთი მხრით, ის თავაზობს საღაო საკითხების მშვიდობიან მოლაპარაკებით მოგვარებას, ხოლო, ამავე დროს აწარმოებს ჩინეთის ყოველმხრივ გარემოცვას. საბჭოთა აღმოსავლეთში საბჭ. მთავრობამ თავი მოუყარა, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ 650.000 ჯარისკაცს, რომლებიც არაჩვეულებრივ დაწოლას აწარმოებენ ჩინეთის საზღვრებზე. გარე მონგოლეთი დიდხანია წითელი არმიის სტრატეგიული ტერიტორიაა. ავღანეთის გაკომუნისტება უთმაგრესად მიმართულია ჩინეთის წინააღმდეგ. რჩება პაკისტანის სუსტი ხელისუფლება, რომლისთვის სასარგებლოდ შეცვალა უემკელია, კრემლის უახლოეს ვეგემბშია შეტანილი. ინდოეთი ჩინეთის მტერია. მას კრემლი აიარაღებს და აჭეზებს მისი მტრის წინააღმდეგ. საბჭოების სამხედრო ფლოტი ინდოეთის ოკეანეში იმყოფება. ფილიპინების მთავრობა ჩუმიად არმყოფს კრემლთან. აღმოსავლეთ აზიის და წყნარი ოკეანის ატლასზე თვლის უბრალო გადავლება საკმარისია დარწმუნდეს, რომ ვიეტნამის და საერთოდ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სამხედრო პლაცდარმად გადაქცევით, საბჭოები სრულ ალყაში აქცივენ ჩინეთს და თუ ამ უკანასკნელმა დროზე გადაიმკრელი ზომები არ მიიღო ამ სრული განა-



დგურება ელის ან სამარცხვინო კაპიტულაცია.

საერთაშორისო საკითხებში დანტერქესებულმა მეთვალყურეებმა ყველაზე კარგად იციან და მითუმეტეს კრემლის სტრატეგებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ სულ ცოტა 20-30 წლის განმავლობაში ჩინეთს არ შეუძლია შეტევითი ომი აწარმოოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაშ, რატომ აჩქარებს ასე, კრემლი, ჩინეთთან ანგარიშის გასწორებას? რატომ ასე საბედისწეროდ ხდის ის მსოფლიოს მშვიდობას და მთელი კაცობრიობის, მათ შორის თვით რუსის ერის, ყოფნა-არყოფნას? ამ კითხვებზე პასუხი შეიძლება ასეთი იყოს:

საბჭოურმა ეკონომიკამ და იდეოლოგიამ კრაზი ვანიცადა. აღარც საბჭოთა და აღარც მსოფლიოს ხალხებს აღარ სჯერათ კრემლის დაპირებები სოციალიზმის შენებაზე და საყოველთაო ბედნიერების დამკვიდრებაზე. კრემლის მეცვეურებმა ყველა სხვებზე უკეთ იციან, რომ საბჭოთა სისტემას აღარავითარი შანსი აღარ აქვს, მშვიდობიანი კომპეტენციით, მსოფლიოზე გაბატონდეს.

ფოსტერ დოლესის შემდეგ, ამერიკის და საერთოდ დემოკრატიული მთავრობების მცდარი პოლიტიკის შედეგად, საბჭოთა სახელმწიფომ მიადღწია დიდ სამხედრო ძლიერებას. აქედან გამომდინარე, საბჭოთა სტრატეგები იმედოვნებენ ისტორიის ჩარხი ომის ღმერთების მფარველობით თავიანთ სასარგებლოდ შემოაბრუნონ.

სანამ ამერიკის შ.შ.ს გაუსწორდებოდნენ, მათთვის საშურია ჩინეთის კომუნისტური მთავრობის დაჩოქება და დასავლეთ ევროპის გაკომუნისტება. ჩინეთის პრობლემის გადაწყვეტა განსაკუთრებით საშურია მათთვის. ჯერ ერთი, კრემლს არ შეუძლია დიდხანს მოითმინოს მეორე კომუნისტური ცენტრის არსებობა მსოფლიოში, და მეორეც, მან უნდა მოასწოროს მანამ, სანამ ამერიკას დიდი ეკონომიური ინტერესები არ გააჩნია იქ.

კრემლში შესაძლებელია ვარაუდობდნენ, რომ დასავლეთ ევროპის და განსაკუთრებით ჩინეთის გულისთვის ამერიკა ატომური იარაღის ხმარებას ვერ გაბედავს.

იანვარი. 1979.

1979: ს ს რ კ და მ ს ო ფ ლ ი ო

1919-ში, ახლად დამყარებული საბჭოთა რუსეთი მსოფლიოს წინაშე წარსდგა, როგორც სოციალისტური რევოლუციის ქვეყანა, მსოფლიო პროლეტარიატის სამსახურში და ის ითვალისწინებდა მისი იდეოლოგიის გაბატონებას მთელს კაცობრიობაზე.

უკვე 1949 წელში, როცა პიტლერის გერმანიასთან წარმოებული ომიდან გამარჯვებული, საბჭოთა კავშირი არა მარტო მეფის რუსეთის კუთვნილ ტერიტორიებს აღიდგენს, არამედ აღმოსავლეთ ევროპაზეც გავარცხლებს თავის ბატონობას და სტალინიზმში იპოვის რეჟიმის განმტკიცებას, ის ადვილს უთმობს ექსპანსიონისტურ რუსეთის იმპერიას. ამ დროს კომუნისტური სამყარო, რომელსაც ეს იმპერია განაგებს, ერთი მთელია. შეკავშირებული და გამგონე. ამის გარდა, ძლიერი ჩინეთიც მისი მოკავშირეა, ისე, რომ მოსკოვის ყოველის შემძლე ავტორიტეტს არც ერთი მათგანი სადავოდ არ ხდის.

ამ 1979 წლის განთიადზე კომუნისტური ბლოკის ბზარები ამოუცხებელ ნაპარაკებად იქცნენ: ჩინეთთან განხეთქილება, აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ბლოკის კრიზისი, დასავლეთ ევროპის კომპარტიების განზე გადაგომა არყევს და ემუქრება საბჭოთა რეჟიმს. ესლა მოსკოვი ხედავს, რომ მას აღარ ემორჩილებიან და კიდევაც ემუქრებიან: ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულება, რომელსაც მოყვა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ამერიკის შ.შ.ს და ჩინეთს შორის, ჩინეთს აქცევს მომავლისათვის არა მარტო მოპირდაპირე პოლუსად, არამედ ყველაზე საშიშ მტრადაც. აღმოსავლეთ ევროპაში: პოლონეთი უარს ამბობს, მოსკოვის მოთხოვნების შესაბამისად, გაზარდოს მისი მონაწილეობა ვარშავის სამხედრო ბლოკში; იუგოსლავია და რუმინეთი საჯაროდ გამოენ ვიეტნამის მიერ კამბოჯის დაპყრობას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება იცავს; თვით რომის პაპის არჩევნები საფრთხეს წარმოადგენს საბჭოებისათვის, რადგანაც ისინი აძლიერებენ პოლონელი ხალხის ეროვნულ სიამაყეს, რომლისთვისაც კათოლიციზმი მუდამ წარმოადგენდა ეროვნული



ერთობის და დამოუკიდებლობის იარაღს; რაც შეეხება დასავლეთ ევროპის კომპარტიზმს, იმის მიუხედავად თუ როგორია მათი დამოკიდებულება კრემლის მიმართ. მათი ნებუნდობა გულწრფელია თუ ცხელი. რომ ისინი იძულებული არიან საბჭოთა რეჟიმის მიმართ შორს დაიჭიროთ თავი, ხოლო ზოგიერთი მათგანი საეკვიდაცო ხდის მის სოციალისტურ ბუნებას; ბოლოს, თვით მის წიაღში, საბჭოთა იმპერია სულ უფრო და უფრო მეტად ამყარავდება, როგორც კოლონიალური მპყრობელობის რეჟიმი. უნდა მომხდარიყო ნებად მოსახლეობის მასიური გადასახლება, ქართული ენის და ცივილიზაციის გარუსებამდე დასაცავად საქართველოში მინფესტაციების მოწყობა, ახლახან მელეჯარებში ტაჯიკისტანში და რუსების შემოფოთება საბჭოთა ხალხების დემოგრაფიის გამო, რაც რუსებისთვის არასასურველად ვითარდება, რომ დასავლეთს გაეგო ნამდვილი ხასიათი სსრკ-ს კოლონიალური სახელმწიფოსი, რომელიც აქადის გამოიყურებოდა, როგორც სამავალითო ფედერაცია და ხალხების უმტივინელო შერწყმის ქვეყანა. კავშირში ძალით შეეყვანილი ერების მომავალი უსვამს საქართველოში კითხვებს რუს მმართველებს, რომლებიც დღეს იძულებული არიან ეძებონ საშუალებები ერთგული ბომბების გასაბათილებლად. მაგალითად საქ. კომპარტიის პირველი მდივნის, ერთი უზბეკის და რამდენიმე უკრაინელის შეყვანა სსრკ-ს ც.კ-ს ბიუროში, მაგრამ სტალილის და ხელკეტის პოლიტიკა, იქნებ გვიან და საკმარისი აღარ იყოს, რომ მან შეაკავოს საბჭ. კავშირის ერთა ემანსიპაციის მოძრაობა, მაშინ, როცა თვით საბჭ. შ ხელისუფლება მას იწვევს და ეხმარება მთელ მსოფლიოში.

უქანასკნელ ხანში საბჭოთა ექსპანსიის გააქტიურება ახსნება კრემლის მმართველობა შეშფოთებით მომავლის წინაშე. აფრიკაში, სადაც მოსკოვი კუბის მკლავებით მოქმედობს, ან აზიაში, ვიეტნამის შემოჭრებით, რომელსაც სსრკ-ს მთავრობა აქეზებს მათი ძველი ოცნებების, ვიეტნამელების ჰეგემონიით ერთიანი და ძლიერი ინდოჩინეთის სახელმწიფოს შექმნა, ან თუ გნებავთ, ახლო აღმოსავლეთის რევოლუციები, ავღანისტანის და ხვალ შესაძლებელი ირანის ვზიხით, სხვა არაფერია თუ არა დამფრთხაბა ღრულად. დიხს, ეს მოქმედებები შეიძლება მოგვეჩვენოს როგორც ძლიერების ნიშანი, მაგრამ, როგორც ამას ქვემოლ დავინახავთ, სინამდვილეში ისინი არიან ანარკელი რეჟიმის ღრმა ავადმყოფობის და მისი შემოფოთებისა მომავლის საფრთხის წინაშე.

მართლაც, მუდმივად, იმპერიათა ისტორიაში, როცა ისინი დაკნინებას განიცდიან, მათ ახასიათებს მიდრეკილება უსაზრობო ექსკანსიისაკენ, მათ თითქოს ვანდილების მანია ემართებათ. უფსკრულის წინაშე მყოფი იმპერია დაპყრობით ავანტიურებში ვარდება, რათა მისი მოსახლეობის შერყეული ერთობა ამით შეკრას. ახალ-ახალი დაპყრობებით მოიპოვოს ხალხის მხარდაჭერა, რომელიც მას ხელიდან ეცლება. მაგრამ ტოტალიტარულ სახელმწიფოს შესაძლებლობებსაც თავისი საზღვრები აქვთ: მას, ერთდამივე დროს, არ შეუძლია კონტროლი გაუწიოს აღმოსავლეთ ევროპას და ჩინეთს, აფრიკას და აზიას, საკუთარ ცენტრს და პერიფერიას. მაგრამ, ამავე დროს მას არ შეუძლია აღიაროს, რომ ყველაფერი ეს ერთად მისთვის შეუძლებელია და მოახდინოს რაციონალური არჩევანი.

აზიაში: კრემლს არ შეეძლო ვულგარული დარჩენილიყო ჩინეთ-იაპონიის შეთანხმებისადმი. მონგოლების შემოჭრის შემდეგ რუსის ხალხის ბუნებაში ჩაბეჭდილია ყვითელი რასის შიში. შემედარი იქნება ვიფიქროთ, რომ საბჭოთა სამხედრო ძლიერება საკმარისი იყოს თავიდან მოიშორონ მემკვიდრეობით მიღებული შიში და, რომ აუღლებებლად შეეძლოთ შეხედონ აღმოსავლეთში წარმოებულ მდგომარეობის განვითარებას. მოსკოვი იძულებულია იმოქმედოს შინაგანი მიზნების გამო: თავისი მოსახლეობის დასამშვიდებლად, რომლებსაც პროპაგანდის მიზნით დიდი ხანია უქადაგებენ ჩინეთის საშინაორობას. ის მას ესაჭიროება აგრეთვე საგარეო პოლიტიკის მიზნით: აჩვენოს მსოფლიოს, რომ ის, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ძლიერი სახელმწიფოა. უნდა აჩვენოს ჩინეთს თავისი გადაწყვეტილება, და სანამდე ამას კიდევ ადგილი აქვს, თავისი სამხედრო უპირატესობა. საბჭოების მხარდაჭერა ანექსიის საკმეში, რომელსაც ვიეტნამი აწარმოებს, სხვა არა არისრა, თუ არა შედეგი იმ იძულებულია და არა გამოანგარიშებული არჩევანი. ამ ნაბიჯის უარყოფითი შედეგები უგულვებელსაყოფი არ არიან: სსრკ-ს წარმოდგენა შესამე მოსოლიოს თვალში სსახლო არ გამოდის; ის ამხედრებს მის წინააღმდეგ არა მხოლოდ ჩინეთს, არამედ სხვა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერებსაც, რომლებიც მუქარის ქვეშ გრძობენ თავს, მხედველობაში რომ



არ მივიღოთ დასავლეთის სამყარო, რომელიც არ თანაუგრძობს დამხობილ კამპუჩიის რეჟიმს, მაგრამ კამბოჯის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მომხრეა.

აფრიკაში: საბჭოთა ექსპანსია იქაც გამოწვეულია იმ მარცხებისგან, რომლებიც მან ამ კონტინენტზე განიცადა (გეგმატ-საბჭოთა ხელშეკრულების დარღვევა 1976-ში, სომალი-საბჭოების ხელშეკრულების გაუქმება 1977-ში, აფრიკაში მისი ყველაზე ერთგული მოკავშირის, სეუტ ტურვის გინებას დაახლოება საფრანგეთთან და საერთოდ დასავლეთთან, ზაირის გადატრიალების გეგმების ჩაშლა და სხვა.). კიბორჩხის ომის შემდეგ, საბჭოთა დიპლომატიამ მარცხი განიცადა ახლო აღმოსავლეთში და საბჭოთა კავშირს მუდამ ემინოდა ერთიანი არაბულ-აფრიკული ფრონტის შექმნისა მის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, საბჭოებს სჭირდებათ ჰყავდეთ მოკავშირეები ამ ისლამურ სამყაროს წიაღში, იქნებიან ისინი არაბები თუ აფრიკელები. მათ სჭირდებათ იქ აღვივონ ლოკალური კონფლიქტები. საბჭოების ინტრიგები ანგოლაში, მოზამბიკში ან სამხრეთ აფრიკაში მოწოდებს მათ გადაწყვეტილებას ღრმად შეიკრან აფრიკის კონტინენტზე, რათა იქ ჰქონდეთ სტრატეგიული დასაყრდენები. მათი მიზანია არ დაუშვან აფრიკაში მყარი პოლიტიკური მდგომარეობის დამყარება, ჩინეთმა იქ ფეხი არ მოიკიდოს და დასავლეთი ევროპა უკან აღარ დაბრუნდეს. მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ: საბჭოების ღრმად მოკავშირე აფრიკულ სახელმწიფოებისათვის აუცილებლად საჭიროა საბჭოური საომარი იარაღი და კუბის ჯარები, მაგრამ -ხვალ შესაძლებელია საბჭოების გეგმები ჩაიფუშოს აფრიკელთა ნაციონალიზმის მიზეზით, რომელიც ვერ ეგუება საბჭოთა ნეოკოლონიალიზმს და განსაკუთრებით მათი ისლამურ სამყაროსთან სოლიდარობით, რომელიც გუთუთავსებელია კრემლისგან ბოლო ათეულობიდან. რას მისცემს ხვალ მოსკოვი მის მოკავშირე აფრიკელებს, რომლებიც ზოგჯერ მასზე უფრო მდიდრები არიან, მაშინ, როცა მას უკვე სიძნელეები აქვს კომეკონის სახელმწიფოების მოსამარაგებლად? ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის პოზიციები აფრიკაში სუსტია და სალო-უო. კიდევ მეტი, ურთიერთ საწინააღმდეგოა. მან, რომ აფრიკაში ფეხი მოიკიდოს, იქ უნდა არსებობდეს მუდმივი კონფლიქტები, მაგრამ ეკონომიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საბჭოებს ესაჭიროებათ მშვიდობიანი აფრიკა. ამ წინააღმდეგობათა მარწყვში მოქცეულს, საბჭოთა კავშირს უკან დასახეობ გზა არ გააჩნია, მაგრამ წინ წასვლაც ხიფათებითაა სავსე, რადგანაც მოგვინების კონტროლი შესაძლებელია ხელიდან გაუხსლტეს.

ახლო აღმოსავლეთი :

ვინაიდან საბჭოებს უნდათ მსოფლიო სახელმწიფო იყვნენ, ისინი ყველგან უნდა იყვნენ მხედრულად მოსფლიოში, განსაკუთრებით იქ სადაც თავს იჩენს პოლიტიკური სიცილირე. ვინაიდან ის ექსპანსიონისტური სახელმწიფოა თავისი იდეოლოგიის გამო, ხოლო ტრადიციით იმპერიალისტური ერი, რუსეთი მუდამ მიისწრაფოდა დაპყრობები გაეგრძელებოდა მის სამხრეთისკენ, გასულიყო კასპიის და ხმელთაშუა ზღვებზე, გაენადგურებია იქ გაბატონებული ისლამური სახელმწიფოები. ამიტომ, მას არ შეეძლო გულგრილად დარჩენილიყო ახლო აღმოსავლეთის არეულობებისადმი. ავღანეთის გაკომუნისებმა წარმოადგინს ბირველ ეტაპს ამ მიმართულებით, მაგრამ მთავარი ვასალები ჯერ კიდევ არ არიან მის ხელში.

ჩრება ირანი. მართალია: ამ ძველი მოწინააღმდეგის ანექსია მუდმივი საცდუნებელია არაერთი რუსეთის მმართველისა. მართალია: სადაც კი სოციალური მღელვარება იჩენს თავს, კრემლს გული არ დაუღვება ცეცხლი არ გააღვივოს, მაგრამ ფაქტი, თითქოს ირანის ქაოსი მოლიანად საბჭოების მოწყობილია ნიშნავს, რომ მას მიწაფერი გადაჯარბებული შესაძლებლობა და ანგარიში არ გაუყოფს სხვა ფაქტორებსაც. თქმა არ უნდა, სამხრეთის საზღვრებზე კრემლს გააჩნია საჭირო საშუალებები ცეცხლზე ნავთის დასასხმელად, რომ შემდეგ ამღვრულ წყალში ითევზაოს. ამავე დროს, მან თავი უნდა შეიკავოს იმ ბომბის აფეთქებისგან, რომლის დამორჩილებაც შემდეგ შეიძლება გაუჭირდეს. უპირველესად ამერიკის შიშით, რომელსაც დიდი ინტერესები აქვს იქ. მაგრამ ამერიკის ინტერესების ძალიან მცირე შესაძლებლობა არსებობს, თუ საბჭოებმა არ მოახდინეს ინტერვენცია.

საბჭოების ყოყმანს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი აქვს. სსრკ ირანში ხვდება არა მარტო უცხო გარემოს, არამედ მოწინააღმდეგეებსაც, როგორც რელიგიურს ისე ისტორიულს. კომუნისში ხორციელდება ისლამურ სხეულზე, რუსეთმა ეს კარგად იცის.

მან უკვე გამოსცადა თავის მუხლმანურ რესპუბლიკებში. შაპის მოწინააღმდეგეების და-



ხმარება ნიშნავს ისლამური რესპუბლიკის დაარსებას, რომელიც შეიძლება სოციალისტური დარჩეს, არაკომუნისტური ნამდვილად, თუ მას ეს ძალით თავზე არ მოახვიეს. საკითხავია კრემლს თუ სურს მის საზღვრებთან, რომ შეიქმნას ისლამური სამყაროს მოწინავე ციხე-სიმაგრე? რაც არ უნდა იყოს საბჭოების დახმარება დღეს, ხეაღინდელ ირანის მმართველებს უფრო შეეძინა საერთო ექნებათ ერაყთან, იორდანიასთან, სირიასთან, ლიბიასთან და საუდის არაბეთთან, ვიდრე ჩრდილოეთის ათეისტურ სამყაროსთან. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რომელიც მას მოელოდა, ირანი მაინც დარჩება ამ 10-20 წლის განმავლობაში ნავთის და მძლავრ სახელმწიფოდ, ამიტომ საკითხავია დარჩება ის ვულკანო მის მეზობელ საბჭოთა ისლამურ სამყაროს ბედისადმი? საბჭოთა მოსახლეობამ, თავის მხრივ, რომელიც უკმაყოფილოა მისი რელიგიური ტრადიციების აკრძალვის გამო, შეიძლება მხარდაუჭერა სთხოვოს მეზობელ სოციალისტური და ისლამურ სახელმწიფოს და ურჩობა გამოიჩინოს საბჭოთა მთავრობის მიმართ. შეუვალად საზღვრების მოწყობა, კონტაქტების, რომ ხელი შეუშალოს, უფრო ძნელი იქნება მეგობარ სახელმწიფოს მიმართ, ვიდრე ფაშალების იმპერიასთან.

მაშასადამე, კიდევ ერთხელ, როგორც აზიაში ისე აფრიკაში, საბჭოები ურთიეთ მოწინააღმდეგე ინტერესების მარწმუნში არიან მოქცეული. მათ ექაჩებათ ერთი მხრით მათი ამბიციები და საწინააღმდეგო მიმართულებით შიში მომავალზე. მათი დინამიზმი მათ მოაქანებთ ექსპანსიისაკენ, მაგრამ სულ უფრო და უფრო, მისი ზურგი საიმედო აღარ არის და ამის გამო, ამ ახალი წლის დასაწყისში, სსრკ-ს ხელმძღვანელებს დიდ შემაშფოთებელ კითხვებთან აქვთ საქმე. ერთადერთი ფრონტი, რომელიც მათთვის საიმედოა არის ევროპა, სადაც არსებული საზღვრები დაზღვეული არიან ჰელსინკის ხელშეკრულებით, მაგრამ აქაც მას ეს ძვირი უჯდება მისივე მოქალაქეებისგან თავისუფლების სულ მზარდი მოთხოვნების გამო.

ამრიგად, ყველგან, წარმატებებს თან სდევს მარცხები, რომლებიც რეჟიმის რღვევას აჩქარებენ და პირველ რიგში ემუქრებიან მის მსოფლიო ჰეგემონიას.

საბჭოთა კავშირი დღეს გამოიყურება, როგორც ბუმბერაზი მეტად მძიმე თავით(ცენტრალური ბიუროკრატია), რომელიც ყოველ მხრით მუდღეობა, მაგრამ დაყრდნობილია მოფანაფალე ფეხებზე. ამ თიხისფებებიან დღეს კიდევ შეუძლია მსოფლიო საზოგადოება გააკვიროს, მაგრამ მას განსაკუთრებით შეუძლია ერთ მშვენიერ დღეს წაიფორხილოს და წაიქცეს.

ნიუ-იორკი. იანვარი. 1979 წელი.
სალომე დარბაისელი

14 აპრილის მანიფესტაციის შესახებ

(ფრანგულმა გაზეთმა „ლე მონდ“-მა საქართველოში მიაღწინა თავისი თანამშრომელი ბატონი ბერნარ ბრიგულექსი. 28-29 იანვრის ნომერში დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი „საბჭოთა საქართველო ნაციონალიზმსა და სოციალიზმს შორის“. აქ მოგვყავს ბ. ბ. ბრიგულექსის მიერ აღწერილ თბილისის მანიფესტაციის ტექსტის თარგმანი.)

„თბილისში, 14 აპრილს, 1978 წელს, ნაშუადღევს ათასობით ქართველი თავს იყრის რუსთაველის გამზირზე, თბილისის ცენტრში, რესპუბლიკის საბჭოს შენობის მახლობლად. განწყობილება მღვდვარება. ახალ-ახალი მანიფესტანტები ემატებიან განუწყვეტლივ. რამდენი იქნებოდნენ? 20-30 ათასი, ამტკიცებენ დღეს ამ ისტორიულ დღის მონაწილენი. რამოდენიმე ასეული ახალგაზრდა, რომელთაც სურდათ ედღესასწაულნათ ახალი კონსტიტუცია, თქვა, თავის მხრით, შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ-მა კეთილადემ. შეიძლება ეპატიოთ გამოუცდევლობა ერთთაც და მეორესაც ასეთ მანიფესტაციებში მონაწილეთა რაოდენობის შეფასების საქმეში. როგორც ერთი აღვლობობივი პრესის წარმომადგენელი აღიარებს „ასეთი რამ აქ ჯერ არავის არ უნახავს“.

ჯერ პოლიციის გაძლიერებული ნაწილები, შემდეგ ჯარი მოდის ადგილზე. ტანკები ხერგავენ საქ. დედაქალაქის მთავარ ქუჩებს და იცავენ მთავრობის შენობებს. გაგრძელება იხილეთ 13 გვერდის დასაწყისში



ღია წერილი აკადემიკოს ნიკო კეცხოველს

დიდათ პატივცემულო ბატონო ნიკო,

პირველ იანვრის ვაზეთ „კომუნისტში“ წავიციებთ თქვენი წერილი „მე მინდა ჩემი სამ-
შობლო უფრო ღამაში იყოს“, რომლის ქვესათაურია „მოქალაქეობრივი გულმხურვალებით“.
დასაწყისში თქვენ სამართლიანად ბრძანებთ, რომ საქართველო კლიმატით შემკული და
ბუნებრივად სიმდიდრით უზღავდა დაჯილდოებული ქვეყანაა, რომ წარსულში „ქართველ კა-
ცის ცალ ხელში გუთანი ეპირა და ცალში ხმალიო“ და ასე აშენებდა შემოსულ მტრის-
გან აოხრებულ ქვეყანას, იწვევდა სარჩოს, ქმნიდა დოვლათსო, მაგრამ, შემდეგ, თქვენს
წერილში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: „მაშ დღეს რაღა დაგვემართა, რომ ზოგჯერ სასა-
ყვედლოდა გვაქვს საქმე? ან რაგორ არ უნდა გვისაყვედლონ, რომ ჩვენ მუშაობას
მრავალი ხარვეზი აქვს. გვაქვს თანხები ბინათმშენებლობისათვის – ვერ ვითვისებთ. ფრი-
ადი შეფასებით შარშან მხოლოდ 0,8 პროცენტი ავაშენეთ. მერე სად? იმ ქვეყანაში,
სადაც აგებულია ჯვარი და სეკტიცხოველი, გელათი და სამთავისი!

სათანადოდ ვერ ვებრძვით ყველგან ნეგატიურ მოვლენებს. ეს თვისება თუ ერთ-
ხელ გაჯდა ძვალ-რბილში, ძნელადღა მოვიშორებთ. ჩვენ ხომ გვინდა ყოველმხრივ ღამაში
სამშობლო გვეჩვენდეს, ლადო ასათიანისა არ იყოს: „ხომ ღამაშია ჩემი სამშობლო, მაგრამ
მე უფრო ღამაში მინდა“, და უშრომლად ეს არ გაკეთდება. არც შეგვეფერის, რომ დღე-
ვანდელი გუშინდელს არ ჯობდეს და ხვალინდელი დღევანდელს.

სამშობლო პირველ რიგში ხალხია და არა მარტო მთა-ბარი, თუ დღეს ძირფესვი-
ანად არ აღმოვფხვრით ნეგატიური მოვლენები, რას ან ვის გადავცემთ ხვალინდელ დღეს?
რას ემგვანება მაშინ ჩვენი ქვეყანა? ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ დოვლათი
და ბარაქა დღედეს და გადმოდღედეს, რომ ჩვენი მხარე უფრო ღამაში იყოს, რომ ვიყოთ
მოწინავენი მოწინავეთა შორის, ამისათვის კი საჭიროა შრომა, გონივრული შრომა და საკუთარი
ქვეყნის სიყვარული...“

ამ სტყევებმა თავზარი დამცეს. განა არ ვიცოდ, რომ ჩვენი სამშობლო დი-
დათ ჩამორჩენილია ეკონომიკურად და ჩვენი ხალხი უკიდურესად ღარიბი? მაგრამ თქვენ-
მა სიტყვებმა კიდევ უფრო ღრმად ჩამახედეს სინამდვილეში და დამანახეს ის უფსკრული
საითაც ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს საბჭოთა ხელისუფლება მიაქანებს.

თუ თქვენ დაიჯივრებთ, პატივცემულო პროფესორო, რეჟიმი არაფერ შუაში
არ ყოფილა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხი. ის გაზარმაცებულა, დაუკარ-
გავს გონიერი შრომის უნარი, არ ებრძვის „ნეგატიურ მოვლენებს“ ... და სამშობლოს სიყ-
ვარულიც აკლია. ეს ხომ აბერაქია! და ეს მით უფრო სავალაოა, რომ ამის ბრ-
ძანებს თქვენისთანა მეცნიერი და დიდი კულტურის მქონე ქართველი.

თუ კი საბჭოთა სახელმწიფოს ყოველი წარმატება ლეონიდ ბრეჟნეს და მის
კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიეწერება, მაშინ, როცა საქართველოში ჩამორჩენაა,
მაგალითად ბინათმშენებლობაში, რატომ ისიც მათზე არ მიეწერებათ?

იმის მაგივრად, რომ პარტიის და სახელმწიფოს პასუხისმგებლები
გააკრიტიკონ, მათ მოსთხოვონ უკეთესი ხელმძღვანელობა და უკეთესი შრომის პირობები,
ოფიციალური აგიტ-პროპაგანდისტების მრავალრიცხოვანი არმია ყოველდღიურად უკითხვებს
საწყალ მშრომლებს იმუშაონ კიდევ უფრო მეტი, გამოუშვან ზედმეტი პროდუქცია და
ჩააბარონ სახელმწიფოს კიდევ და კიდევ მეტი ნაწარმი, ჭირანხული, საყოლებელი და
სხვა და სხვა... ეს გაუთავებელი მოწოდებები კრებებზე და გახუთებში, რადიოში და
ტელეხედვაში, რომელთათვისაც არ არსებობს არც დასვენების დღე, არც უქმე და არც
რელიგიური და სამოქალაქო დღესასწაული, ისევე გულის ამაზრუნად ხმაურობენ, როგორც
მონების ზურგზე აყენებული მათრახების ტყლაშენი. და თქვენც, ბატონო ნიკო, იძულებ-
ული ბრძანდებით, იაბე იძულებული, რადგანაც მე ახ შემიძლია დავიჯივრო, რომ თქვენ
ამის თქვენი ნებით აკეთებდით, ხმა აუწყით პროპაგანდისტთა არმიას და ასა-
ლი წლის დღეს მეტი და მეტი შრომისაკენ მოუწილოთ ქართველ ხალხს.

თქვენ არ შეიძლება არ იცოდეთ, რომ თუ ბინათმშენებლობის თანხები ვერ



იქნა ათვისებული, ამაში ბრალი არ მიუძღვით, უმთავრესად, არც ამ სამმართველო-საქონლ-მძღვანელობას, და მითუმეტეს, არც მის რიგით მუშა-მოსამსახურეებს, არამედ საშუალო წარმოების წესს და უსაშველოდ ცენტრალიზებულ ბიუროკრატიაში. თქვენი ის ანა სწავლუ-ლის და მოაზროვნის ვალია სწორედ ამ ძირითადი მიზეზების გამოვლინება და არა ოფი-ციალურად მიღებული ცრუ „მაგნე მოვლენების“ გაიციხვა, რაც მნიშვნელოვანად წინ ვერ წასწევს ვერც ნაწარმის სიუხვეს და ვერც საქართველოს მშრომლების კეთილდღეობას.

ზოგი რამ თქვენს „ნეგატიურ მოვლენებზე“. მიკვირს, რომ თქვენც ამ ბა-რბაროსულ სიტყვას ხმარობთ, მაშინ როცა ქართულში მშვენიერი სიტყვაა მისი შესატყ-ვისი. ეს ალბათ იმის გამო, რომ ამ ოფიციალურად მიღებულ ტერმინის ქვეშ მეტად ვრცე-ლი და უხეხებელი აზრები იგულისხმება. მაგალითად ყოველგვარი რწმენა, რომელიც ოფ-იციალური და ნებნადართულისაგან განსხვავებულია, დამოუკიდებელი ხასიათი, ქართველ კა-ცის თავისი სამკვიდრო ლენინის სამკვიდროზე მეტად რომ უყვარს, ან ტკბილი ქართული რუსულს რომ ურჩენია და მის მომავალზე ზრუნავს, შედიან კრემლის მიერ დაწუნებულ „ნეგატიურ მოვლენების“ კატეგორიაში. მე ვერ დავიჯერებ, რომ თქვენც ამაში მათ ეთ-ანხმებოდეთ, მაგრამ სამწუხაროდ თქვენი წერილიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გაკეთდეს, რამაც ქართველი ახალგაზრდობის შეგნებაში მართლაც მანე შედეგები შეიძლება გამოიღოს.

დაბოლოს, სპეკულიანობა, მექრთამეობა, სახელმწიფო და საზოგადო ქონე-ბის მითვისება და სხვა ამათი მსგავსი მანკიერებანი მანე და დასაგმობია, მაგრამ ამ შემთხვევებშიაც მთავარია არა მათი ზერეულე კრიტიკა, არამედ იმათი გამომწვევი მიზეზე-ბის გამოკვარაგება და მათ მოსაშლელად საჭირო ღონისძიებების მიღება.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია მოწმეა: ქართველი ბუნებით არამც თუ სპეკულიანტი არ ყოფილა, არამედ სათავილოდაც კი მიაჩნდა ისეთი ღირსეული ხელობა, როგორიცაა ვაჭრობა. რა სასწაულით მოხდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სულ რაღაც 58 წლის განმავლობაშიც ასეთი მანე ფსიქოლოგიური ცვლილება მოხდა მის შეგნე-ბაში? საბჭოთა ეკონომისტებს ამის მიზეზის მიგნება და გამომკვლევა არ გაუჭირდებთ, თუ მათ ამის ნებას მისცემდნენ. მარქსი ამბობს: „საზოგადოების შეგნება ზედნაშენია მისი ეკონომიკისა“. უმარქსულად ნათელია, რომ თუ ქართველი კაცი ვასპეკულიანტად, ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ცუდი საბჭოთა ეკონომიკის წყალობით, საჭონლის ნაკლე-ბობით და სავაჭრო ქსელის სრული მოუწყვსრივებლობით.

ამის წინად, ვაზეთ „კომუნისტში“ სწორედ თბილისის საამშენებლო ტრესტის მმართველს აკრიტიკებდნენ. მას ფექტურ მუშებზე ხელფსებში გამოუწერია და მითვისე-ბია. ეს მეტად სავალალო ამბავია, ამხელა თანამდებობის და მდგომარეობის კაცმა ასეთი თალღობობა რომ იკადრა. მაგრამ, იქვე ნათქვამი იყო, რომ მისი თვითი ჯამავარი 200 მანეთისგან შედგებოდა. როგორ შეუძლია მას ამ უმინშენელო თანხით ღირსეულად შეინახოს თავისი ოჯახი? ცხადია: ხელისუფლების მიერ წარჩეული ხელფსების პოლიტი-კა მას აიძულეს სხვა, უჯანონო და სამარცხვინო, გზებს მიმართოს. ეს რომ მთელი შემთხვევა იყოს, მაშინ სალაპარაკოდ არ ღირდა, მაგრამ ამ დღეში არიან ასეთი სა-ბჭოთა მუშები და მოსამსახურეები და შეძლებისდა მიხედვით ყველა იძულებულა მიმარ-თოს იმ თქვენს მიერ დაგმოხლ „ნეგატიურ“ მოქმედებას. ამრიგად ის გახლავთ არა მხო-ლოდ საქართველოში, არამედ მთელს საბჭ. სახელმწიფოში ფართოდ გავრცელებული საზოგა-დოებრივი სენი. კრემლის შენდებული პროპაგანდა კი მთელს მსოფლიოში ავრცელებს ხმებს თითქმის ქართველები ამ სიუღით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ. რატომ ავრცე-ლებენ ამ ხმებს? პასუხი ძნელი არ არის: რათა მსოფლიო საზოგადოების თვალში გაამა-რთონ კრემლის მესვეურთა მიერ ქართველების წინააღმდეგ წარმოებული რებრესიები, პოლიტიკურ რებრესიებს მისცენ ეკონომიკურ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის ხასიათი. ქართველმა აკადემიკოსებმა წილი არ უნდა დაიდგინათ საოკუპაციო ხელისუფლე-ბის ასეთ ბოროტ ცილისწამებაში. პირქით, თქვენი ვალია თქვენი მუშობები ერისათვის დღეს თავი იხრ გამოიღვას, როგორც თავის დროს დიდმა მამულიშვილმა დიმიტრი ყიფი-ანმა.

ქართული საღამით გიორგი წერეთელი
პარიზი. იანვარი. 1979 წელი.



მანიფესტანტების მხრით ხმები სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. ზოგიერთი უკვე არა მარტო პატრიოტულ მოწოდებებს, არამედ, თუ ანტი საბჭოურს არა, ამკარად ანტირუსულს მაინც.

საქ. კომპარტიის პირველი მდივანი ბატონი ელუარდ შევარდნაძე იძულებულია მიიფოს თავად, ან მოსკოვს მიადგინოს გადამწყვეტი ლონისძიება. ამის მილოდინოი ჯარი დგას ურყევად. მალე ცხადი ხდება, რომ ხელისუფლება ცდილობს თავიდან აიცილოს შეტაკება, რომლიდანაც გამარჯვებული გამოვა წესრიგის დამცველი ძალები, მაგრამ პოლიტიკური შედეგები შეიძლება დრამატული აღმოჩნდნენ.

მანიფესტანტები ჯდებათ ასფალტზე. ბ-ნი შევარდნაძე საკმაოდ გაბედულად უახლოვდება მანიფესტანტების პირველ რიგებს. მისი გამოჩენა იწვევს სიწყნარის ჩამოგდებას. ის არწმუნებს მის თანამემამულეებს, რომ მათი მოთხოვნები გაგებული იქნა და დაკმაყოფილებული იქნება და, რომ ამაში ისინი დარწმუნდებიან ამ დღეებში.

დაძაბული განწყობილება სწრაფად მშვიდდება. ხალხის თავმოყრა კი ვრცელდება გვიან შუალამემდე, მაგრამ სისხლის აბანო თავიდან იქნა აცილებული.“

ავთანილი იმნაძის „გასამართლება“

თავისუფლების ტრიბუნა(№21. მაისი. 78წ.) უკვე აცნობა ავთანდილ იმნაძის დაპატიმრებას. აკადემიკოს ა. სახაროვის მიხედვით, ის დაპატიმრეს თბილისის მანიფესტაციების შედეგად.

5 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქ. საინფორმაციო სააგენტოს ცნობა, სადაც ნათქვამია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, თბილისში, განიხილა ავთანდილ პროკოფის ძე იმნაძის საქმე, რომელიც 1976-78 წლებში ამზადებდა და ავრცელებდა ანტისაბჭოურ ხასიათის მასალებს, რომლებიც შეიცავდა ცილისმწამებლურ მონაქორს საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებაზე. ა. იმნაძემ მთლიანად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული. სასამართლომ ა. იმნაძე დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 71 მუხლის პირველი ნაწილით და მიუსაჯა ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით და სასჯელის მოხდის შემდეგ გადასახლება ოთხი წლის ვადით.

განაჩენი საბოლოო და საკასაციო წესით გასაჩივრებას ან გაპროტესტებას არ ექვემდებარება.

როგორც კი გავიგეთ ავთანდილ იმნაძის მკაცრი განაჩენი, თხოვნი მივმართეთ გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და ამნესტი ინტერნაციონალის საფრანგეთის განყოფილების თავმჯდომარეს, რათა ყოველი ღონე იხმარონ უბრალოდ დასაჯილ პატიმარის მდგომარეობის შესამსუბუქებლად და გასანთავისუფლებლად. მარტო ჩვენი ხმა ძალიან სუსტია მსოფლიო საზოგადოების და ორგანიზაციების ასამოძრაებლად. ჩვენმა სათვისტომოებმა ევროპაში თუ ამერიკაში უნდა იზრუნონ ა. იმნაძის და პატიმრობაში მყოფ სხვა ჩვენი თანამემამულეების ბედის შესამსუბუქებლად. ეს მათი მოვალეობისა და ღირსების საქმეა. პოლიტიკური გადმოხვეწილის მოვალეობასაც რომ თავი დავანებოთ, ყოველი საზოგადოების კაცობრიული მოვალეობა ხომ ის არის, რომ დახმარება, თანაგრძნობა და თანადგომა აღმოუჩინოს ყველა უსამართლოდ დასჯილთ, ძალმომრეობისა და ბოროტების მსხვერპლთ?

„თ.ტ.“

1500 წლის წინანდელი გაკვეთილი
 („წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა“-ს 1500 წლისთავი)

8-11 დეკემბრის დღეებში ჩვენს სამშობლოში ილდესასწაულეს ქართული მხატვრული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლის „შუშანიკის წამების“ ათას ხუთასი წლის იუბილე. ქართული კულტურის ეს დღესასწაული გასცდა საქართველოს საზღვრებს, მასში მონაწილეობა მიიღეს რუსების და საბჭოთა სახელმწიფოში მოქცეულ სხვა ერების ლიტერატურების წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იუნესკოს გადაწყვეტილებით ამ ნაწარმოების 1500 წლისთავი შეტანილია 1979-1983 წლების საიუბილეო თარიღების რიცხვში. ერთ და იმავე წელში ილია ქავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის და ქართული უნივერსიტეტის არსებობის სამოცი წლისთავის შემდეგ ქართული ლიტერატურის 1500 წლისთავის ზეიმი უეჭველად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

იაკობ ხუცესის ისტორიულ მოთხრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის უტყუარი მოწმეა არა მარტო ქართული ენის უცვდავებისა, არამედ მისი მუდმივი სიკაბუქისაც, კითხულობ, რიგითი ქართველი, ამ მესუთე საუკუნის ქართულს და ყველაფერს, თითქმის ყველაფერს გებულობ, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს ამ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში. სპარსულის, ბერძნულ-ლათინურის, არაბულის, მონღოლურის, თურქულის, რუსულის და მისი გზით დასაცვთ ევროპის ენების მძლავრობას და მათ მიერ გამოწვეულ დანაგვიანებას ისე ჩაუვლია თითქოს მოლიმარ მთვარისთვის ბრძოლებს ტალახის შეხვები შეეხსათ.

გარდა ენობრივისა, სხვა მრავალ მხრივაც უაღრესად დიდი ღირებულება აქვს წმიდა შუშანიკის წამების წიგნს, მასში დაუფასებელი ცნობებია იმდროინდელი ქართლის სულიერ და მატერიალურ კულტურის შესახებ, სოციალურ და ეკონომიურ საკითხებზე, ადამ-ზნე-ჩვეულებებზე და სხვა.

მესუთე საუკუნის საქართველო ორ სახელმწიფოდ იყო ჩამოყალიბებული: დასავლეთში ეგრისი ბიზანტიის იმპერიის მფარველობაში, ხოლო აღმოსავლეთში ქართლი სპარსეთის ვასალური სახელმწიფოდ იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად დადგენილია, რომ წმიდა შუშანიკის პატრიარქობის დრო 460-470 წლებს ქრისტეს შემდეგ განეკუთვნება. ამ დროს, ქვემო ქართლის ერისთავი ვარსკენ პიტიახში ეახლება სპარსეთის მეფეს, უარყოფს ქრისტიანობას, აღიარებს სპარსეთის ოფიციალურ სარწმუნოებას-ცეცხლოთყვანისმცემლობას და მეფეს პირობას მისცემს, რომ ცოლსაც და შვილებსაც ასევე მოაქცევდა. ნასიამოვნები სპარსეთის შაჰინ-შაჰი ვარსკენ პიტიახს მფორე ცოლად შერთავს თავის ასულს და უწყალობებს ალბანეთის მარზანობას. ალბანეთის მარზანანი ალბანეთის გარდა განაგებდა სომხეთსაც და ქართლსაც.

ღალატის ფასად აღზევებული ვარსკენი გამოემგზავრება თავის სამფლობელოსკენ, სადაც მას იმედების გაცრთხება ელოდა. მისი ცოლი შუშანიკი, სომეხთა სპაიპეტის ვარდანის ასული, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო. შეიტყო არ ქმარის უმსგავსო მოქცევა, სასახლე მიატოვა და თავი შევადარა ჯერ ეკლესიაში შემდეგ კი ეკლესიასთან ახლო მდგომ ქობში. ცოლის მიერ ოჯახის მითოვება უდიდესი შეურაცხყოფა იყო მამაკაცისთვის. განრისხებულმა ვარსკენმა ყოველი ღონე იხმარა ურჩი მეუღლის შინ დასაბრუნებლად და როცა არაფერმა არ გასჭრა, გაეკრებულ დედოფალს ბორკილები დაადვა და საპატიმროში ჩააგდო. მძიმე პატიმრობაში გაატარა შუშანიკმა ექვსი წელიწადი, დასნეულდა, ფეხებში წყულუბი გაუჩნდა, მატლები დაესია და ასეთი წამებით პატიმრობის მსვემდე წელს გარდაიცვალა.

ქრისტესათვის წამებული და აღსრულებული დედოფალი შუშანიკი დიდი პატივით მიაბარეს მიწას და ქართლის ეკლესიამ ის წმიდანად შერიცხა.

აღსანიშნავია: „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა“-ს ავტორი იაკობ ხუცესი, იგივე იაკობ უურტაველი, მოთხრობის ერთერთი გმირია. როგორც დედოფალ შუშანიკის მოძღვარი, ის ხშირად ნახულობს პატიმრობაში მყოფ მის ქალბატონს, უვლის, ანუგეშებს და მოუწოდებს მტკიცედ იდგეს თავის გადაწყვეტილებაზე, არ დათმოს, არ შეურიგდეს ქრისტიანობის მოღალატე ქმარს.



– როცა ვარსკენ პიტიახშის ოჯახში ეს ტრაგედია მიმდინარეობს ქართლი უკვე დღეების წინ გაქრისტიანებული ქვეყანაა. ვარდა სპარსელებისა, რომლებიც ჩანან ერისთავის კარზე, ქართველობა მტკიცედ დგას ქრისტეს სჯულზე და ეს ითქმის როგორც მდამი ხალხზე ისე აზნაურებზეც. თვით ვარსკენის მშობლები ქრისტიანები იყვნენ, ძმა ვარსკენის, ჯოჯიკი, ურყევად დგას ქრისტეს სჯულზე და ძმის მალულად კიდევაც თანაუგრძობს და მზრუნველობს შუშანიკს.

– ქრისტიანულ ეკლესიას სრული შეუვალლობა აქვს ხელისუფალთაგან. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში. მიუხედავად ვარსკენ პიტიახშის აგრძალვისა, პატიმრობაში მყოფ შუშანიკს ნახულობენ, უფლიან და ნუგეშს აძლევენ, გარდა იაკობ ხუციესისა, ეპისკოპოსები აფოცი და იოანე და მთავარეფისკოფოსი სამოელი. ასევე საერისთავოს კარის დიაკონი, ჯოჯიკი სახლობთ და სხვებიც.

– სპარსეთის მეფე უზენაესი გამგებელია ქვეყნის, ის ცდილობს დაპყრობილ ქართლის შემომტკიცებას და ამის მთავარ საშუალებად მას მიაჩნია სპარსეთის ოფიციალური რელიგიის, ცეცხლის თაყვანისცემის გავრცელება ხალხში. სპარსეთის ადმინისტრაცია არ ერევა ქართლის სახელმწიფოს შინაურ საქმეებში. ქართლის ერისთავები სარგებლობენ დიდი ავტორიტეტით. ამიტომ ვასაგებია ის ინტერესი, რომელსაც შაჰი იჩენს ერისთავ ვარსკენ პიტიახშის მიერ ცეცხლთაყვანისმცემლობის აღიარების მიმართ. ვარსკენ პიტიახშის მოქმედება ღალატია არა მარტო ქრისტიანობის, არამედ ქართული ეროვნებისაც, რადგანაც იმპერიალისტური სპარსეთი თავისი რელიგიის დანერგვით ცდილობს განსხვავება წაშალოს ქართველებსა და სპარსელებს შორის, ისევე როგორც დღეს კრემლი ცდილობს განსახვავება რუსებსა და ქართველებს შორის მოსპოს.

– მაშინდელი მოწინავე ქართველები, და პირველ რიგში ქრისტიანული ეკლესია, კარგად გრძობენ გადაღვარებისა და გადაჯიშების საშიშროებას და წმიდა შუშანიკის მსგავსი მაგალითებით ცდილობენ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას. ამრიგად, ქრისტიანობის აღიარება და განმტკიცება განპირობებული იყო როგორც ეროვნული თავდაცვის საშუალება სპარსეთის ძალმომრეობისაგან. ეს ისტორიული არჩევანი გადაწყვეტილი იყო. მას შეეწირა მთელი რიგი თაობებისა, დაიღვარა ზღვა ქართული სისხლი, მაგრამ ამ ქრისტიანულმა დვრტამ შეადგა ქართველობა, ჩამოაყალიბა ქართველი ერი და შექმნა ათასწლოვანი ქართული ცივილიზაცია.

– საუკუნოების განმავლობაში ჩვენი მამა-პაპები თავს იცავდნენ სამხრეთიდან მოძალებულ სპარსებისა და თურქების იმპერიებისაგან. დღეს საშიშროებამ ჩრდილოეთით გადაინაცვლა, მაგრამ ჩვენი ერის არსებობას კვლავ აღმოსავლეთის იმპერია ემუქრება. მეხუთე საუკუნის ქართველებმა ნახეს ის ფარი, რომელმაც ერი დაიფარა მოზღვავებულ მტრებისაგან. ეს ფარი გახლდათ ფეოდალური წესწყობილება და ქრისტიანული იდეოლოგია.

– ფეოდალიზმი ისტორიას ჩაბარდა. ვეღარც ქრისტიანული ეკლესია იხსნის ჩვენს ერს დღევანდელი მტრებისაგან, მაგრამ დღევანდელი დასავლეთის ეკონომიკა და იდეოლოგია კვლავაც შეგვიძლია ფარად ვიხმაროთ აღმოსავლური ტირანიისაგან თავის დასაცავად. თუ ჩვენი ერის მომავლის უზრუნველყოფა გვინდა, შეუძლებელია იგივე პოლიტიკური ენ-თი ვილაპარაკოთ, როგორც ჩვენი მპყრობელი საბჭოთა რუსები ლაპარაკობენ. ასეთია ის გავკეთილი, რომელსაც გვაძლევს მეხუთე საუკუნეში დაწერილი ისტორიული და უაღრესად პოლიტიკური მოთხრობა იაკობ ცურტაველის „წამება წმიდისა შუშანიკის დედოფლისა.“

„შუშანიკის წამება“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა

როგორც საბჭოური ჩეულებმა, „შუშანიკის წამების“ იუბილეზე ბევრი ილაპარაკეს ხალხთა შორის მეგობრობაზე, კაცთმოყვარეობაზე და ჰუმანიზმზე. ვერაფერი ვერ მოახერხეს რამე ეთქვათ მეხუთე საუკუნის ქართველების და რუსების მეგობრობის სადიდებლად. სამაგიეროდ არაერთმა ორატორმა და სტატიის ავტორმა ხაზი გაუსვა სომეხ-ქართველთა მეგობრობას, მათ ერთობლივ ბრძოლას სპარს დამპყრობელთა წინააღმდეგ. მაგალითად საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდენტმა, გახსნა რა სასაუბრო საღამო, განაცხადა: „...მოთხრობის პატრიოტული სულისკვეთება ჰარმონიულად ერწყმის კაცთმოყვარეობის პრინციპებს, სხვა ხალხებისადმი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში- სომეხი ხალხისადმი ნამდ-



ვილი პატივისცემისა და სიყვარულის გამოვლინებას. ნაწარმოებში, რომლის სახელიცაა „მეცნიერების ეროვნული ცენტრის მიხედვით, არამედ დღემდე ნათესაური ურთიერთობა, ცხადად ისმის სომხე-ქართველთა უძველესი ძმობის მოტივები.“ აქვე, გ. ბრუტინამა-სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და ფილოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი — თქვა: „შუშანიკის წამებაში“ მკაფიოდ აისახა მეხუთე საუკუნის ისტორიული მოვლენები, როცა სომეხი და ქართველი ხალხები ერთად თავგანწირვით იბრძოდნენ უტოლოდ დამომონებელთა იძულებითი ასიმილაციის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ფაქტის გამო ეს მოთხრობა მხატვრული აზრის მარტოდენ ბრწყინვალე მოვლენა კი არ არის, არამედ ჩვენი ხალხების პოლიტიკური ისტორიის დოკუმენტი.“ ასეთივე აზრია გატარებული გურგენ სევაკის — სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სომხეთის და საქართველოს მეცნიერების ამსახურებელი მოღვაწე — მილოცვის წერილშიც: „...შუშანიკის წამების ამსახველი გმირული მოთხრობა მკაფიოდ ადასტურებს ჩვენი ხალხების ერთობას სპარს დამპყრობელებთან ერთობლივ ბრძოლაში.“

სომხების და ქართველების მეგობრობას რომ განმტკიცება ესაჭიროება ამაზე ორი აზრი არ არსებობს; მათ ერთობლივ ბრძოლებზე თავთავიანთი ეროვნული მეობის შესანახჩუნებლად არაერთი ისტორიული საბუთი არსებობს როგორც ქართულ, ისე სომხურ დამწერლობებში. მათ დახაჯ ესაჭიროებათ ხშირი მოგონებები, რათა დღევანდელი სომეხი და ქართველი ახალგაზრდობა განიმსჯელოს ურთიერთის მიმართ ნდობით, პატივისცემით და სოლიდარობით, მაგრამ იაკობ ხუცესის მიერ აღწერილ ამბავში არაფერი არ არის ნათქვამი რაც ამართლებდეს პატივცემული აკადემიკოსების ზემოდ მოყვანილ აზრებს, გარდა იმისა, რომ შუშანიკი იყო სომეხი მთავრის ასული. ქართველი მეფეები და მთავრები ხშირად ქორწილდებოდნენ სპარს, ბიზანტიელ, მონღოლ და ყიფჩაყ კეთილშობილ ასულებზე, მაგრამ განა ეს საგმარისია ვამტკიცოთ ამ ხალხების და ქართველების ისტორიული მეგობრობა და ერთობა?

იაკობ ცურტაველის მოთხრობის მიხედვით შუშანიკი ქართული ოჯახის დედაა, ის მოქმედობს როგორც ქართველი ქრისტიანი, მას სჯიან აწამებენ და მკვლელობაში მას უვლიან და ანუგეშებენ ქართველი საეკლესიო და საერო პირები. არცერთი სომეხი, მათ შორის თვით შუშანიკის მშობლები არსად არ ჩანან. სიკვდილის შემდეგ, ქართული ეკლესია შუშანიკს უწყობს დიდებულ დასაფლავებას და მას შერიცხება წმიდა მოწამედ, მაშინ როცა სომხური ეკლესია მასზე დუმს. მაშასადამე, ამ ისტორიულ ამბის მიხედვით არავითარი საბუთი არ არსებობს ქართველების და სომხების ერთობლივ ბრძოლაზე. ეს შეიძლება დასაინანი იყოს, მაგრამ რა უფლება გვაქვს ჩვენ დღეს მეხუთე საუკუნის დოკუმენტს ჩვენი სურვილების მიხედვით მივცეთ განმარტებები?

მახათოს პარტეკემლმა ევ. ხარაძემ, მაგრამ იაკობ ხუცესის ნაწარმოებში არც **ჰუმანიტური** იდეები არ უთერენ და არც **პატრიოტული** სულიკვეთება არ მელავნდება. არა! ის არის წმინდა აარწმუნოებრივი, მარტიოლოგიური ხასიათის ნაწარმოები. შუშანიკი სამშობლოს სიყვარულით კი არ ღებულობს წამებას და სიკვდილს, არამედ ქრისტეს ერთგულებისთვის. თავისი გააზრებით „შუშანიკის წამება“ ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობის განმტკიცებას ქართლის სახელმწიფოში. მას ეძლევა ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობა, რადგანაც ქრისტიანობაში პპოვა ქართველმა ხალხმა თავისი ეროვნული მეობის დაცვა და შენახვა. ასეთია ამ უძველესი ქართული დამწერლობის ძეგლის შინაარსი, იდეოლოგია და მისგან გამომდინარე დასკვნები. მისი არა სწორი გადმოცემა მიუღებელია განსაკუთრებით აკადემიკოსების წარმომადგენლებისაგან. ეს სარგებლობას კერ მიუტანს სომეხ-ქართველთა მეგობრობას, ისტორიულ სიმართლეს კი ვნებს.

„სიტყუე და ორპირობა აენებს ხორცსა, მერგე სულსა.“



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ა პ ყ რ ო ბ ი ს 58 წ ლ ი ს თ ა ვ ი

1921 წლის 11 თებერვლის დამით, ომის გამოუცხადებლად, ჩვენს ქვეყანას შემოვიტანა საბჭოთა რუსეთის ჯარები. თავდასხმა სრულებით მოულოდნელი იყო, ისე მოულოდნელი, რომ საქართველოს მთავრობა რამოდენიმე დღის განმავლობაში აცხადებდა: „ჩვენს ქვეყანას თავს ესხმიან სომხების შეიარაღებული ბანდები.“ თბილისის მისაღწევიდან ქართული ჯარი მიიწვია ახერხებს თავდასხმებში შეეკავება და ხშირად საწინააღმდეგო იერიშებსაც აწარმოებს. არის დიდძალი მსხვერპლი მებრძოლთა ორივე მხრის რიგებში. თბილისის დამცველები ხელთ ივდებენ მტრის ათასობით ჯარისკაცებს, ცხენებს, ჯავშნოსან ავტომობილს და საომარ საჭურველს.

ამ დროს ქართული ჯარების მთავარსარდლობის განკარგულებაშია მხოლოდ 9,600 ჯარისკაცი და გვარდიელი, მიუხედავად სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მოწოდებული მტრის შეკავებისა და უკუგდების, მას არ გააჩნია მარჯავა ჯარი ფრონტებზე დაქანებული მებრძოლების მისაშველებლად და გაქცეულ მტერზე დასადგენებლად, არც თბილისიდან მცხეთისაკენ გამომავალი რკინიგზის ხაზის დაცვის უზრუნველსაყოფად. 24 თებერვალს დამით მთავარსარდალი აძლევს ბრძანებას თბილისის ქვაბიდან ჯარების დახვევისას და ლიხის მთის ხაზზე გამაგრებისას. 25-ს დილით წითელი არმიის ნაწილები ქუჩელებით ფრთხილად იკავებენ დაცვილ, მგლოვიარე და რისხვით დამუხჯებულ ჩვენს დედაქალაქს.

შემოსულ რუსის ჯარებთან წინააღმდეგობა გრძელდება ხუთი კვირის განმავლობაში. შავი ზღვის სანაპიროზე რუსებმა გახსნეს ახალი ფრონტი. წითელი არმიის მეცხრე დივიზია აწევდა სოხუმიდან. შექმნილი მდგომარეობით სარგებლობენ თურქები, უკანიდან თავს ესხმიან ჩვენს ჯარებს და ცდილობენ ქალაქ ბათუმის და მთელი აჭარის ხელთგდებას. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა საქართველო განუყოფელი დარჩეს დამარცხებამდე. სარდლობის ბრძანებით ქართული ჯარები წყვეტენ რუსებისადმი წინააღმდეგობას, უტევენ და უქაავდებენ თურქეთის ჯარებს. ბათუმში შეკრებილი საქ. ეროვნული კრება უცხოეთში გაზავნის ეროვნულ მთავრობას საბჭოთა რუსეთის ოკუპაციისაგან სამშობლოს განთავისუფლების საწარმოებლად.

ასე იწყება „ახალი ერა“ ჩვენი სამშობლოს თვითხელმწიფების მოსპობისა და ჩვენი სამშობლოდან გადმოხვეწილობისა.

ქართულ პრესაში, განსაკუთრებით უცხოეთში ბევრი მელანი დაიხარჯა იმის გასარჩევად თუ როგორ მოხდა, რომ იმ დროს და იმ პირობებში რუსის ჯარებმა ისე იოლად დაგვამარცხეს, ან შეიძლება თუ არა იმ ომიდან საქართველო დაუმარცხებელი გამოსულყო; ამის გარჩევას ჩვენ აქ ვერ შევუდგებით, ეს არ არის ჩვენი დღევანდელი თემა. ჩვენ მხოლოდ გავიხსენებთ ქემალ ათათურქის მკაცრ განაჩენს: „საქართველო დამსახურა თავისი ხედრით. დიდი ომის დროს მან შეძლო რუსეთის ტახტის დასაცავად გამოეყვანა 200 ათასი ჯარისკაცი. სამუდამო სირცხვილად დარჩება ქართველი ხალხის ისტორიაში თებერვლის კატასტროფა, როდესაც თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად მან გამოიყვანა მხოლოდ ცხრა ათასი მებრძოლი.“

უეჭველად იყო მოუშხადებლობა, მოულოდნელობა, დაბნეულობა და შეცდომები პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მხრით, მაგრამ მთავარი და უდავოა: საბჭოთა რუსეთი სრულიად უსაბაზოდ დაგვესხა თავზე და დავეპყრო. განვმარტოთ: 1. ლენინის მთავრობას არ შეეძლო მოემიზუნებია თითქმის საქართველოს რუსეთისკენ მთავრობა მტრულად ყოფილიყოს განწყობილი მის მიმართ. პირიქით, როცა რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ჩვენი მთავრობა მტრულად იყო განწყობილი საბჭოების მრისხანე მტრებთან-დენიკინელებთან და მათ თეთრგვარდიელებთან სამხედრო შეტაკებებსაც ჰქონდა ადგილი. ამის გამო ინგლისის სარდლობაც უკმაყოფილო იყო, რადგანაც ნება არ ეძლეოდათ დენიკინის არმიის მოსამარაგებლად გაგზავნილი სამხედრო საქურველი საქართველოს ტერიტორიაზე გაეტარებინათ. ამას, აღმათ, საბჭოების საამებლად არ აკეთებდნენ, მაგრამ ეს თავისთავად ხომ წყალს ასხამდა მათ წისქვილზე? დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა საბჭოებს წინ არ აღდგომია არც ჩრდილო კავკასიის ხალხების დაპყრობაში, არც აზერბაიჯანისა და არც სომხეთისაში. 1920-ში, როცა წითელი არმიის ნაწილები პირველად შემოიჭრნენ საქართველოში, ქართულმა მხედრობამ, გენერალ გიორგი კვიციანი

ტაძის სარდლობით, ისინი სასტიკად დაამარცხა. მთავარსარდალმა ნება ითხოვა დამატებით ვითულამიელთა დღენისა და მათგან აზერბაიჯანის განთავისუფლებისა. საბჭოთა მთავრობა რომ არ გაენაწყენებია, ნ. ყორდანის მთავრობამ თავის სარდლობაში შეიქმნა არ მისცა.

ნ. ყორდანის მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა რათა ნორმალური, მეზობლური ურთიერთობა დაემყარებია საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან, მან განსაკუთრებული მისიაც კი გაგზავნა მოსკოვში, აწ განსვენებულ გრიგოლ ურატაძის მეფათურობით, რომელმაც 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულობას მოაწერა ხელი კრემლის წარმომადგენლებთან. ამ ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთის მთავრობა ცნობდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ხელს იღებდა საქართველოს მიმართ მეფის რუსეთის უფლებებზე და კისრულობდა საქ. სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობას. ამ ხელშეკრულების მეორე კვირ კიდევ კარგად გამშრალი არ იყო, როცა ლენინის მთავრობამ, ყოველგვარი საზღვრების და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თავისი ჯარები შემოვიდა.

2. წინააღმდეგ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების ცინგიური განცხადებებისა, ქართველ მუშებს და გლეხებს არამც თუ წითელი არმიის დახმარება არ უთხოვიათ ნოე ყორდანის მთავრობის ჩამოსაგდებლად, არამედ ისინი იყენენ ჯარშიც და გვარდიაშიც ასე ერთგულად, რომ იცავენ მას წითელი არმიისაგან. კიდევ მეტი, დამარცხების შემდეგაც ქართველი მუშები ერთგული დარჩნენ მათი ეროვნული მთავრობის. ნაძალადევის ისტორიულ კრებაზე, სადაც მოყოლილან განგებ მათ გადასაბირებლად ჩამოსულ სტალინს თბილისის მშრომლებმა ცუდი დღე დააწყეს, კრებიდან გაწილილი და გააკაბსებული გააქციეს. ხუთი კვირის განმავლობაში, როცა ქართველი ჯარისკაცები შემოსეულ რუსის ჯარებს ებრძოდნენ, არსად მათ ზურგში არც ამოხეხას, არც უწყსოვას ადგილი არ ჰქონებია. უდავოა: დამოუკიდებელი და მშვიდობის ერთგული საქართველო მსხვერპლი გახდა საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებისა.

არცერთი ქართველი პარტია არ შერიგებია საქ. დამოუკიდებლობის მოსპობას. თვით ქართველი ბოლშევიკებიც კი, რომლებიც დამპყრობლებს შემოყენენ, ფიქრობდნენ, რომ რუსის ჯარები საქართველოს დატოვებდნენ, და, რომ საბჭ. საქართველო დამოუკიდებელი-სუვერენული სახელმწიფო იქნებოდა ყველა ეს გზააბნეული იდეალისტი, რამდენიმე წლის შემდეგ, განადგურდება თვით საბჭოთა რეჟიმის მიერ.

საოკუპაციო ხელისუფლება პირველ ხანებში ირწმუნება, რომ ის მოახდენს დემოკრატიულ არჩევნებს და პატივს სცემს ქართველი ხალხის ნება-სურვილს, მაგრამ მალე ცხადი ხდება, რომ ეს დაპირებები მორიგი ტყუილია, დროს მოსაგებლად. იწყება საუკეთესო მამულიშვილების დაპატიმრებები, გადასახლებები და დახვრეტები. პარტიები იძულებულნი არიან გადავიდნენ არალეგალურ მდგომარეობაში. იქნებდა ფართული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელშიც ერთიანდება ყველა ქართული ეროვნული პარტია. უკვე 1921-22 წლებში ადგილი აქვს სტიქიურ აჯანყებებს საქ. სხვადასხვა მთიან კუთხეებში. კახეთში და ფშავ-თუშ-ხევსურეთში ოკუპანტებს გამირულად ებრძვიან პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმები, ქართლში მიხეილ ლაშქარაშვილისა. პარტიულ-ქანული რაზმები მოქმედებენ გურიაში, იმერეთში და სამეგრელოში. მზადდება სრულიად ქართული შემთხვევად რუსის ჯარების გასანადგურებლად, საბჭ. ქართული არმიის მთავარი შტაბის უფროსის პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის მონაწილეობითა და გეგმებით. შეთქმულება გაიცა და ჩეკამ უწყალოდ დახვრიტა 15 დიდი ქართველი. მათ შორის იყვნენ გენერლები კოტე აფხაზი და ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკები როსტომ მუსხელიშვილი და გიორგი ხიმშიაშვილი. ამ თხუთმეტივე დასჯილის უანგარო თავდადება, მოწამებრივი სიკვდილი და სიკვდილი დროს გამოჩენილი სულიერი სიმტკიცე და შუღრთვლობა სასამაგალითო არა მარტო საბჭოთა პერიოდის, არამედ ქართველი ხალხის მთელი, ხანგრძლივი და მღელვარე ისტორიის განმავლობაშიც. ცხოველი პატრიოტიზმის გამოვლინებით მას იშვიათად მოეძებნება ბადალი კაცობრიობის ხალხთა ისტორიებშიც.

1924 წლის აგვისტოში იფთქებს ქართველი ხალხის საყოველთაო აჯანყება, რომლის დამარცხების შემდეგაც, გამცეცებული საბჭოთა ხელისუფლება ხევრეტს 7 თას ქალსა და კაცს, რომელთა შორისაც მრავალი იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ აჯანყებაში, მაგრამ მსხვერპლი გახდნენ ხელისუფალთა ბრმა



შურისძიების. ამას მოყვება ბოლშევიკ-უკრაინისტების ფიზიკური განადგურება, კოლექტივიზაციის ბარბაროსული წლები, **1928-33**, რომლის დროსაც დაიღუპა ქართველი გლეხობის უმეტესი ნაწილი და, კულაკობის ბრალდებით, ათასობით ყველაზე მშრომელი და ქვეყნის ბურჟუაზია გლეხი. ინტელიგენციას უკანასკნელი მუსრი გაავლეს ევოგჰინის დროს (**1934-39**). შეუძლებელია ამ პერიოდის მსხვერპლთა რაოდენობის განსაზღვრა, რადგანაც არავითარი ოფიციალური ცნობა არ არსებობს, მაგრამ ის ყველამ იცის საქართველოში, რომ არ დარჩენილა არცერთი ოჯახი, რომლის ერთი წევრი მაინც არ ყოფილიყოს „გულაგებში“, ან დახვრტილი. ამითაც არ დამთავრებულა ქართველი ხალხის ფიზიკური გაჩანაგება. გერმანიასთან წარმოებულ ომში, ოფიციალური ცნობებით, საქართველოს ისედაც დაცილ სოფლებიდან და ქალაქებიდან, საძულველი რეჟიმის დასაცავად გარეკავენ **700** ათას მეომარს, რომელთაგანაც ნახევარი დაიღუპება, გადარჩენილ მეორე ნახევრიდან ნახევარი მაინც მძიმე დასახიჩრებული დარჩება. საღად დარჩენილებიდანაც ათასობით შრომის ბანაკებში უკრავენ თავს ტყვედ ჩავარდნის ბრალდებით. ზღვა მსხვერპლი! აუნაბლაურებელი, რომელსაც რა ეწოდოს თუ არა ქართული ჯიშის ამოწყვეტა. დღეს კი რედაქტორი კარბელაშვილი და ძმანი მისნი, სამშობლოში და გადმობეჭვნილობაშიაც, ბედავენ და გვიქადაგებენ, რომ ორასი წლის განმავლობაში, რუსების მფარველობაში მყოფი ქართველი ხალხი მშვიდობით ცხოვრობს, მრავლდება და იფურჩქნებაო. ამ ვაჟბატონებს ბანს აძლევს ქალ-ნი ვიქტორია სირაძე, საქ. ც.კ-ის მდივნიბიდან ახლად დაქვეითებული უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ, **25** თებერვლის ვაზ. „კომუნისტის“ მკითხველებს ეუბნება: „ქართ. ხალხის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო **1921** წლის **25** თებერვალს. ახალმა სოციალურ-პოლიტიკურმა წყობილებამ განაპირობა დღევანდელი საქ-ოს ყველა დარგის არნახული პროგრესი“-ო. ახალი ერა მართლაც დაიწყო, ქ-ნო ვიქტორია, მაგრამ არა პროგრესისა, არამედ საქ-ოს სახელმწიფოს გაუქმების, ქართველი ხალხის ფიზიკური მოსპობის, სიღუბნის და უსამართლობის ბატონობის. ერა, რომლის დროსაც ჯაშუშობა, გამცემლობა, ღალატი და სხვა სიმდაბლენი ადამიანობისა სახელმწიფო ინსტიტუტად იქცა. უნდა ვაპატიოთ ქ-ონ ვ. სირაძეს, მან სხვებზე უკედ იცის: უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეობიდან სულ ახლოა ტარპეის სამიწა კლდე.


გრიგოლ წერეთელი

კურიშკოს ძეგლი წითელწყაროში

1921 წლის თებერვალში რუსების წითელ არმიას ქართველები რომ ყვავილების თაიგულებით არ შეგებებია ამას ისიც მოწმობს (თუ მოწმობა საქიროა), რომ თბილისის მისადგომებთან, წითელწყაროს რაიონში, სხვა წითელარმიელთა შორის, ცხენოსანთა დივიზიის ერთმა მეთაურმაც ჰპოვა თავისი ხვედრი სიკვდილი. ამის შესახებ, აწ განსვენებული პოლკოვნიკი აკაკი კვიციანიშვილი, იმ დროს იმერეთის გვარდიის ათასეულის მეთაური, შემდეგს მოგვითხრობს: „სინამდვილეში ეს დივიზია იყო ერთი ბრიგადა კურიშკოს მეთაურობით(თვით კურიშკო მოპკლეს ქართველებმა დღიღღის წყაროსთან), რიცხვით **700-800** კაცი, ჯახიოკა ცხენებზე; ფილოსს ზიდან ამ ბრიგადის არ შეშინებია მეორე იმერეთის ათასეულს, ორჯერ უკან გარეკა ის დიდი ზიანი და **40** ცხენიც წაართვა.“ (იხ. „მხედარი“ №**14-15**; **1933** წელი).

ამ „დივიზიის“ მეთაურ კურიშკოსათვის, საქ. ვასაბჭოების დასაწყისშივე, ძეგლი აუგიათ შითელწყაროში, მაგრამ ის დროს თუ ქართველ პარტიოტებს დაუმსხვრევიათ. ეხლა კურიშკოსთვის ახალი ძეგლი აღუმართავთ., წითელწყაროში მის გახსნას ადგილობრივი პარტიული აქტივის გარდა „დივიზიის ლეგენდარული მეთაურის“, კურიშკოს სამშობლოს დღეგაცაიაც დასწრებია, რაიონის პარტიის აღმასკომის მდივნის მეთაურობით.

ამ ამბავს აღწერილ **22** ნოემბრის ვაზ. „კომუნისტში“ ვლ. მქედლიშვილი. ამ წერილის შესვალში ის ამბობს: „**1921** წლის **16** თებერვალს ღამით, როცა წითელი არმიის მეთვარამეტე ცხენოსანთა დივიზიამ, ახერხაიჯანზე გავლით, პირველად ზეხი საქართველოს მიწაზე, წითელწყაროს რაიონში დადგა, თეთრგვარდიელებთან და მენშევიკებთან პირისპირ შეტაკებისას გამირულად დაიღუპა სამოქალაქო ომის ლეგენდარული მეთაური,



მეთვრამეტე ცხენოსანთა დივიზიის უფროსი პეტრე ვასილის ძე კურიშკო. "–ო ნუთუ ასე უფიცია ვლ. მჭედლიშვილი, რომ ქართველი მუშების და გლეხებისაგან შემდგარ სახალხო გვარდიას და დენიკინ-ვრანგელის თეთრ გვარდიას ერთმანეთისგან ვერ ანიჭებენ განაგებ შედლომაში უნდა შეიყვანოს ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც იმ დროს არ მოსწრებია?"

ეჭვი არ გგვპარება: კურიშკოს ეს მეორე ძველიც დიდხანს არ დარჩება მის კვარცხლებეზე. მის ადგილას სხვა ძველი აღიმართება, კურიშკოს დივიზიის მსხვერპლების, სამშობლოს დამცველი შამულიშვილების, მანამდე კი მათ ძვირფას ხსივნას საკუთარ გულში შეინახავს ქართველი ხალხი.

ვალკო ჩუბინიძე

მამულიშვილთა ხსოვნის პანაშვილი

საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის დროს დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნის სადიდებელი ტრადიციული პანაშვიდი გადახდილი იქნა პარიზის ქართველთა ეკლესიაში, კვირას, 25 თებერვალს, რომელსაც დიდძალი ქართველობა დაესწრო. დამსწრე საზოგადოება, როგორც ერთი კაცი, სრულ ზიარებაში იყო 58 წლის წინად სამშობლოს დასაცავად დაღუპულთა ნათელ ხსოვნასთან. არა, ისინი არ მომკვდარან! ისინი ცოცხლობენ ჩვენს ხსოვნაში და იცოცხლებენ დიდხანს, ჩვენი შემდეგი თაობების ნახსოვრობაში.

--- --- --- --- ---

ვლადიმერ ევანიას დახვრეტის წლისთავზე

ვლადიმერ ევანიას დახვრეტის წლისთავის აღსანიშნავად, პარიზის წმიდა ნინოს ტაძარში, გადახდილი იქნა პანაშვილი, შაბათს, 24 თებერვალს, 17 საათზე, რომელსაც ბევრი ქართველი დაესწრო, როგორც პარიზიდან, ისე ახლო ქალაქებიდან და სოფლებიდან. ღვთისმსახურების შესრულების წინ, მოძღვარმა ილიამ წაიკითხა ქადაგება, რომელიც ქვემოთ იბეჭდება. პანაშვიდის დროს გალობდნენ ახალგაზრდები: თინა ყიფიანი, თინა კერესელიძე, დარეჯან ბერეკაშვილი, ეთერი წერეთელი, ლია ვოდე, თათარი პატარიძე, მიხეილ ვოდე და თათარი ზურაბიშვილი. მათმა უფროსებმა: დიმიტრი კლდიაშვილმა, ვიქტორ ხომერკიმა, გერასიმე ბოლქვაძემ და სტანკო მამულაშვილმა დასწრება და მონაწილეობა საჭიროდ არ ჩათვალეს. აგრეთვე, თავის მოვალეობას არ ასრულებდა დიაკონი ნიკოლა მამულაშვილი. სოციალ-დემოკრატი პიროვნულად ბევრი იყო დამსწრეთა შორის, მაგრამ საქ. სოც. დემოკრატიული პარტიის პარიზის ორგანიზაციის კომიტეტმა და საზღვარგარეთის ბიურომ მასში მონაწილეობა საჭიროდ არ ჩათვალა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა ვლადიმერ ევანიას სიკვდილის განაჩენი ცნობილი გახდა, ჩვენმა პარტიებმა და გამოცემებმა განცხადებით მიმართეს დემოკრატიულ მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ეშუამდგომლათ საბჭოთა მთავრობასთან მისთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თქმა არ უნდა, საერთო გამოსვლას უფრო მეტი გავლენა ექნებოდა. ერთი თვე გავლოდინა აწ განსვენებულმა ნოე ცინცაძემ და ბოლოს მაინც, მასთან შეთანხმებით შედგენილ დოკუმენტს, ხელი არ მოაწერა სოც. დემ. პარტიის სახელით.

ე. ევანიას დახვრეტის შემდეგაც, მათ არ ინებეს საერთო პროტესტში მონაწილეობა. მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა, მათგან ამ საქმის შესახებ არავითარ საჯარო განცხადებას ან განმარტებას ადგილი არ ჰქონებია. თქმულებაა: ღუმილი თანხმობის ნიშნით. თანხმობა ვისთან ან რასთან?

გ. წერეთელი

ვილოცოთ ვლადიმერ ევანიასთვის(ქადაგება)

ჩვენ ვილოცებთ ვლადიმერ ევანიას სულის განსასვენებლად, რომელიც დახვრიტეს საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგობისათვის.

თავდაპირველად მე მინდა ერთმანეთს დავაშორო, ჩვენს ცნობიერებაში და ჩვენს ლოცვაში, ერთის მხრივ სინდისის გამო წინააღმდეგობა, რომელიც საყოველთაოდ მიღებული



უფლებაა, და მეორეს მხრივ ტერორიზმი. განსვენებულმა სასამართლოზე აღიარა: შეველოდი რომ მიმართა ძალადობის საშუალებას. მაგრამ მან ყველაფერი ქნა აემორბინა და მსხვერპლი. მას უნდოდა არა სხვების არამედ თავისი საკუთარი სიცოცხლის განწირვა. იმის მიზანი იყო საზოგადოება გაეფრთხილებია საფრთხის ასაცილებლად.

საზოგადოდ, როგორც ჩვენ აქ, ისე იქ-სამშობლოში ადამიანის უფლებების დამცველები ტერორიზმის წინააღმდეგი არიან. პირიქით, თვით რევინი აწარმოებს ძალმომრებას. უსათუოდ ვლადიმერ ჟვანიას სიკვდილით დასჯა წარმოადგენს შურისძიებას და უსაფუძვლო სიმკაცრეს.

მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ ჟვანია ნანობდა მის მიერ გამოყენებულ საშუალებაზე, ის მტკიცედ იღვა მის მთავარ მიზანზე: საქართველოს დამოუკიდებლობა, და განსაკუთრებით, ეროვნული ენის დაცვა ჩვენს საკუთარ ქვეყანაში.

როგორ შეგვიძლია არ ვილოცოთ ამ ეკლესიაში ჩვენი ტანჯული ერის, შეიძლება აღგზნებული, მაგრამ ერთგული შვილისათვის?

დეკანოზი ილია მელია

--- --- --- --- ---
 მიხეილ წერეთლის დაბადების 100 წლისთავი

გასული წლის 23 დეკემბერს ასი წელი შესრულდა განსვენებულ მიხეილ(მიხაკო) წერეთლის დაბადებიდან. მთელი თავისი სიცოცხლე მან მიუძღვნა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენას, ჩაირთვო ხალხის სათავეებს, მისი ისტორიის და კულტურის ძიებას და გამოჩინებას. როგორც იქნება, რომ ამ თარღს თავისუფლების ტრიბუნა დუმილით შეგვდეს? მის თავის ღირსებად მიაჩნია მოწინააღმდეგეობით თავყვანი სცეს დიდი მამულიშვილის ხსოვნას და მოკრძალებული მადლობა უძღვნას მამულის სადიდებლად გაწეული უანგარო და მრავალმხრივი ღვაწლისათვის.

ერთხელ აწ განსვენებულ გიორგი წერეთელთან მქონდა საუბარი მიხაკო წერეთლის თაობაზე. ჩემი მისდამი აღფრთოვანების გასაგრძელებლად მან მოთხრა: „ბოშო, მიხაკო დიდი მეცნიერი და მამულიშვილია, მაგრამ პოლიტიკაში მოხეტიალეა. ჯერ ანარქისტი იყო, შემდეგ სოც. ფედერალისტი და ნაციონალიტი, დაბოლოს თეთრი გიორგელო“. პარტლაც, მიხეილ წერეთელი იყო ყველა ამ პარტიების და მოძრაობების თვალსაჩინო წევრი: შეიძლება ითქვას, რომ ის არ იყო პარტიების ერთგული, პარტიის კაცი. მაგრამ ის უერთგულესი შვილი და მსახური იყო საქართველოსი.

ადრე ქაბულობაშივე მიხაკომ კარგად იცოდა საქართველოს ისტორია და ის მწვავედ განიციდა მის აწმყოს. ერთდროს ძლიერი და ყველას მიერ პატივცემული სახელმწიფო, დღეს რუსეთის უზრალო პროვინციად გადაქცეულიყო. აუცილებლად საქართველოს სამშობლოს გამოხსნა რუსეთის ორთავიან არწივის მპყრობელობიდან. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ შეიძლებოდა რუსეთის სახელმწიფოს დანგრევით. გრიგოლ რიბაქიძე სრულიად მართალია, როცა ბრძანებს, რომ ასეთმა შეგნებამ განაპირობა მიხაკო წერეთლის ახალგაზრდობის დროინდელი ანარქისტობა. იგივე იღვა ედვა სარჩულად მის მოღვაწეობას სხვა პარტიებში თუ პოლიტიკურ დაჯგუფებებში მთელი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში.

დიდი ნიჭი და ინტუიცია, ევროპის დიდი ენების და კულტურის, ასევე აღმოსავლეთის ცოცხალი და მკვდარი ცივილიზაციების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, მიხეილ წერეთელს გზას ფართოდ უხსნიდა მშვიდ, სახელის და დიდების მომხვეჭ და შეძლებული ცხოვრების უზრუნველყოფელ მეცნიერებისაკენ. მართალია, რომ მას მეცნიერება არ მიუტოვებია, მაგრამ შემოქმედების საუკეთესო წლები მაინც მან შეგნებულად შეწირა პოლიტიკის ეკლბიან, ზიფათებიან და უმადურებით საცხე გზაზე სვლას.

1905-10 წლების განმავლობაში მ. წერეთელი მოღვაწეობს საქართველოში, ჯერ სოც. ფედერალისტთა პარტიაში, შემდეგ კი, პეტრე სურგულაძესთან და ვალერიან გუნიასთან ერთად აარსებს საქ. დამოუკიდებლობის ჯგუფს ფარულად და მის ბეჭდვით ორგანოში „ერი“ აქვეყნებს მთელ რიგ წერილებს, რომლებშიაც იცავს საქ. დამოუკიდებლობის აუცილებელ საჭიროებას. საქ. დამოუკიდებლობის იდეით არის გამსჭვალული მ.წერეთ-



თლის შესანიშნავი სიტყვა ილია ჭავჭავაძის დასაფლავებამდე. ამავე პერიოდში გამოდის მ. წერეთლის ცნობილი წიგნი „ერი და კაცობრიობა“, რომელშიაც მჭკრმეტყველურად დასაბუთებულია ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხები. აქ ერი აღიარებულია ერთადერთ რეალობად. „გარეშე ერისა არ არის ისტორია, არც კულტურა“, ამბობს ის. მასასადამე, კულტურული კაცობრიობა შეუძლებელია ერების გარეშე. ამ წიგნმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

1910 წელს იწყება მკაცრი დევნა და გადასახლება ქართველი ნაციონალისტებისა. მიხეილ წერეთელი თავს შეაფარებს ლონდონში, ხალციხის იწყებს აღმოსავლეთის ცივილიზაციის შესწავლას. შემდეგ სწავლას აგრძელებს გერმანიაში ქალაქ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს დოქტორის ხარისხზე. ამავე დროს მ. წერეთელი აქტიურ როლს თამაშობს უნგრეთში დაარსებულ საქ. დამოუკიდებლობის ჯგუფის საქმიანობაში. ეს ჯგუფი ომის დაწყებისთანავე გადაკეთდება დამოუკიდებლობის კომიტეტად, მასში მ. წერეთლის გარდა შედიან ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები და გიორგი მჩაბელი. კომიტეტი დიდ მუშაობას აწარმოებს გერმანიაში და თურქეთში. მათი საქმიანობის წყალობით გერმანიის მთავრობა გათვითცნობიერებული და მომზადებული შეხვდა საქ. დამოუკიდებლობის გამოცხადებას. იმ ომის დროს, 1917-ში და 1918 წელს მ. წერეთელი ორჯერ მოგზაურობს წყალქვეშა ნავით საქართველოში განსაკუთრებული მისიით, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი კავშირშია ნოე ჟორდანიასთან და საქართველოს მოედგაწე სხვა პოლიტიკურ თავიკაცებთან. საქ. დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოხდეს ყველაზე ხელსაყრელ დროსა და პირობებში. როცა ეს სანეტარო დღეებიც აღდგება, მ. წერეთელი ლოიალურად თანამშრომლობს დამოუკიდებელი საქ. დროებით მთავრობასთან, ჯერ ის ინიშნება წარმომადგენლად სკანდინავიის ქვეყნებში, შემდეგ კი, 1920-ში ივანე ჯავახიშვილი მას იწყებს თბილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის პროფესორად. ამავე, 1912-16, წლებში ქვეყნდება, ჯერ ქართულად შემდეგ ინგლისურად, მ. წერეთლის აღმოჩენები სუმერული ენის შესახებ და ამ, დღეს მკვდარი, ენის ნათესაობაზე ქართველური ჯგუფის ენებთან, რომელმაც იმთავითვე დიდი ყურადღება და ინტერესი გამოიწვია მსოფლიოში გამოჩენილ მეცნიერთა შორის.

საბჭ. რუსეთის მიერ ჩვენის ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ, მ. წერეთელი კვლავ ტოვებს, ამჯერად საბოლოოდ, მის საყვარელ სამშობლოს. ორი წლის განმავლობაში ბრიუსელის უნივერსიტეტში ის განაგრძობს ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრას, ხოლო 1933-43 წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ბერლინის უნივერსიტეტში. ამ პერიოდში, პარიზის ასირიოლოგიის კრებულში იბეჭდება მ. წერეთლის გამოკვლევები ურარტული ენისა და ცივილიზაციის შესახებ, რომლებიც მას მოუპოვებს დიდ გავლენას და დაფასებას ამ დარგში მომუშავე საერთაშორისო მეცნიერთა შორის. ამავე დროს მ. წერეთელი ბეჯითად იკვლევს ქართველი ერის ჩამოყალიბების წინა ისტორიულ ხანას,

დიდი გონებამახვილობით აყენებს რიგ ჰიპოტეზებს ქართველი ტომებისა და ახლოაღმოსავლური სხვა ხალხების ურთიერთ კავშირ-დამოკიდებულებაზე. ამ დარგში მ. წერეთლის წვლილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად მისი სახელის ხსენების აკრძალვისა საბ. საქართველოში, დიდი ისტორიკოსი, ივ. ჯავახიშვილი მაინც დიდ ადგილს უთმობს მ. წერეთლის მოსაზრებების ანალიზს თავის „ქართველი ერის ისტორია“ სახელ-მძღვანელოში.

ამ პერიოდშიც, მ. წერეთელი არ კმაყოფილდება მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობით, ის ერთერთი გავლენიანი და აქტიური წევრია თეთრი გიორგის მოძრაობისა, რომლის არსებობის დედაზრი იყო საქ. განთავისუფლება რუსეთის მპყრობელობისაგან და შეძლებული და ძლიერი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობა.

მ. წერეთელი სპეტაკი იყო როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადო საქმიანობაში. რჩეულთა ხვედრია ბედის უმოწყალოება. მეორე მსოფლიო ომში ერთადერთი ვაჟი იყო შვილის დაღუპვამ სიცოცხლე გაუმწარა მოხუცებულს. ომის შემდეგ, დამარცხებულ გერმანიაში, მას ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური საშუალებაც აღარ გააჩნდა, ხშირად კიდევაც შიმშილობდა, ავადმყოფობაც შემოეჩვია, მაინც ის სულით არ დაეცემულა, სასიკეთა არ წარაკეთია, დაუღალავად ხელში ჭეირა მაღლიანი კალამი, ჩხრეკდა



დროთა სიახით წარყენილ პერგამენტებს, პაპირუსებს და ქაღალდებს, უცხო ნარევისაგან ასუფთავებდა ჩვენს ეროვნულ სიამაყეს „ვეფხისტყაოსანს“, და მასვე თარგმნიდა ნულად. ასეთ ყოველმხრივ ნაყოფიერ რულუნებში, 87 წლის ასაკში, მიიცივალა ის ქ. მიუნხენში და იმ ხანად იქვე დასვენდა, ხოლო 1976 წლის ოქტომბერში, ქალბატონმა ნინომ და ბატონმა კალისტრატე სალიებმა მისი ნეშტი, მის თანამებრძოლა შორის, ლევილის სასაფლაოზე გადმოასვენეს. უეპველია, განთავისუფლებული საქართველო უყურადღებოდ არ დატოვებს არც მის საფლავს, არც მის საქმეთა აღნუხებას. მანამდე კი ჩვენ გვმართებს მისი ხსოვნისაც და იმ საქმის ერთგულება, რომელსაც განსვენებულმა მიუძღვნა მთელი მისი მდიდარი და ხანგრძლივი სიცოცხლე.

გიორგი წერეთელი

მიხეილ წერეთლის მცნებანი ახალგაზრდობას

(ეს მიმართვა ახალგაზრდებისადმი ამოღებულია მ. წერეთლის „ჩემი მადლობა“-დან, მისი 70 წლითავის მილოცვების გამო დაწერილი. (იხ. „ბედი ქართლისა“. №4. აპრილი. 1949 წ.) ეს ახალგაზრდობა მაშინ ჩემი თაობა იყო, მძვინვარე ომისაგან უწყალოდ გამეჩრებებული და დაზარალებული. მე მგონია: ეს ამაღლებული მამულიშვილური შეგონებანი, ასევე საქირო და სასარგებლო იქნება დღევანდელი და მომავალი ახალგაზრდა თაობებისთვის. გ.წ.)

... ახალგაზრდობამ უნდა დაიდგას ის უღელი, რომელიც ჩვენ, მამებს აქამდე გვიზიდავს და ჩვეუდ უწინ ჩვენ მამა-პაპათ, ჩვენ წინაპართ. ახალ მსოფლიოში, რომელიც შეიქმნა უკანასკნელი დიდი ომის შემდეგ, ეს უღელი კიდევ უფრო მძიმე იქნება. ვიდრე ჩვენი იყო, მაგრამ მაინც უნდა ჩვილის იგი ახალგაზრდობამ და გადასცეს მის შემოღებ თაობას. ეს არის მისი მოვალეობა ერის წინაშე, კიდევ რომ გასრისოს იგი ამ უღლის სიმძიმემ და მსხვერპლად აქციოს.

გარეშე ერისა არ არის არც ისტორია, არც კულტურა, არც შექმნა ნამდვილი პიროვნებისა; ამიტომ ერის წინაშე სამსახური თვისი თავის წინაშე სამსახურია და ამასთანავე შემოქმედების, შექმნა მომავლისა. თვით ერი საზოგადოებრივი პიროვნება, უფლების მქონე სიცოცხლისა, განვითარებისა, თავისუფლებისა. ამიტომ იდეალი ჩვენ ახალგაზრდათა დღესაც ისევე უნდა იყოს საქ. უფლებათა აღდგენა, როგორც იგი ყოველთვის იყო წინა თაობათათვის, საქ-ს უთვით-მყოფობის დროს.

ნამდვილი „ინტერნაციონალიზმი“ ერთა მიერ ურთიერთ-ერთის უფლებათა ცნობა და პატივისცემა არის. ამიტომ ქართველი „ინტერნაციონალისტის“ იდეალი უნდა იყოს საქართველოს სრულუფლებიანი წევრობა შეთანხმებულ ერთა კრებულისა.

შინაგანი აგებულება ერისა იდეალური იქნება მაშინ, როდესაც სახელმწიფო დაიცავს მოქალაქის სიცოცხლეს, თავისუფლებას, ყოველ უფლებას უზრუნველ-ყოფს მისთვის მის შრომას და მისი შრომის ნაყოფს, და მისცემს თავისუფალ პიროვნებას სრულ შესაძლებლობას განვითარებისა და შემოქმედებისა. ხოლო პიროვნების შრომა და შემოქმედება ამავე დროს საზოგადოების სამსახურიც არის, ყოველ დარგში ერის ცხოვრებისა. იყავნ ესე სოციალური იდეალი ახალგაზრდობისა.

როდესაც ახალგაზრდა „რევოლუციისაზე“ ფიქრობს, -და უნდა იფიქროს ამ რევოლუციითა ეამს, -მას ერთი რამ უმთავრესი არ უნდა ავიწყდებოდეს: რევოლუცია არ არის საუკუნეთა განმავლობაში ერის მიერ შექმნილ უმაღლეს კეთილთა უმდაბლეს სიბოროტეთა და სიკინეთა კრებულად ქცევა, მადლის აღმდაბლება, არამედ სიბოროტეთა და სიკინეთა აღმოფხვრა, ახალ, უმაღლეს კეთილთა შექმნა, მდაბლის აღმდაბლება. პირველი გავება რევოლუციისა მინდვრის კაცთა გავებაა, რომელთაც ტიალ მინდორში ხეც კი ეჯავრებათ მისი სიმაღლის გამო და სჭრიან მას, თუ სადმე ნახეს! - ტერორი რევოლუციის დროს აგრეთვე მინდვრის კაცთა და ბოროტი ბუნების მქონეთა საქმეა, ხოლო ის ერნი, რომელთაც მათი რევოლუციების დროს ტერორი უხმარიათ საკუთრვლად ბრძოლისა და სახელმწიფოს ფუნქციადაც კი გაუხდიათ იგი, დაკოდილი არიან საუკუნოდ, რათგანაც მათ ერის საუკეთესო ნაწილი მოუხსიათ, და ამიტომ მათი მომავალი უიმედია.

ახსოვდეს ახალგაზრდობას, რომ სიცოცხლე უდიდესი მადლია ადამიანისადმი ღმერთისაგან და ბუნებისაგან მინიჭებული, ერთხელ მოცემული, ისიც მოკლე ეამით. - ცხოვ-

რების მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ეს მოკლე ეპოქა ცოცხალ ღირსეულად, ჩვენი მიქმედებით ამაღლებული სულით და სულის ამაღლებით მხიარული გულით განვლოთ ამ ეპოქის კაცის სიცოცხლის მოსპობა უდიდესი ცოდვა ღვთისა და ბუნების წინაშე და მისი ღირებულების მოსპობით უდიდესი ვნება კაცთა საზოგადოებისა. ადამიანის სიცოცხლე ყველაზე უფრო საკრძალოე და პატივსაცემია.

ნუ დაჰგომოს ახალგაზრდობა მამათ, წინაპართ, წარსულს. ჩვენი მამანი და წინაპარი რომ არაფერი ყოფილიყვნენ, ჩვენც არარაობნი ვიქნებოდით. უწარსულო ერი უისტორიოა, - იგი საუკუნეთა განმავლობაში არაფრის შემქმნელი არ ყოფილა და მას არც მომავალი აქვს! - რაც ქართველ ერს წარსულში შეუქმნია, დღესაც მით გვიდგება კულტურული ადამიანის სული და ჩვენი მოქმედებაც წინაპართა შემქმნლის საფუძველზე სწარმოებს. „წარსულის დაბრუნება“ არავის სურს. ეს ისეთივე შეუძლებლობაა, როგორც სათავეთაგან დაქანებულ წყალთა სათავეთადმი უკუქცევა. მაგრამ რაც კეთილი შეუქმნია წარსულს, მისი შენახვა და გადღეობა მომავლის შემქნაა. არც იმისი დაბრუნება უნდა არავის, რაც წარსულში „ცუდი იყო“, მაგრამ ყოველი ეპოქა საკუთარი საზოგადოება უნდა გაიზომოს და ისე უნდა დადგინდეს, ხოლო „ცუდს“ რაც შეეხება, შეიძლება კაცობრიობას იმოკლდეს „ცუდი“ მთელ თვის წარსულში არ ენახოს, რაოდენსაც აწმყოში ვხედავთ!...

- ისტორიამ ყოველთვის წინსვლა არ იცის, ხშირად უკანსვლა ხდება კულტურულ ადამიანთა ცხოვრების მრავალ დარგში და თავისთავად შეუსაბამო არჩევანი რომ გვაჩინოთ, რა გვიჩვენებია ჩვენ ქართველებს: თამარის საქართველო მეთორმეტე საუკუნისა თუ ახლანდელი, მეოცე საუკუნისა? - რომელ საქართველოში ვხედავთ მეტ ძალას ერისა, მეტ რაობებს მის წევრთა, მეტ სიდიდეს და ვარჯიშე გავლენას, მეტ კულტურას და ადამიანობასაც, მეტ კაცობას და რაინდობას, მეტ თავისუფლებას? - ყოველ შეთხვევაში ერთი მართალია: **გადასაწყობა** საქართველო მეთორმეტე საუკუნისა იმ დროის დასავლეთ ევროპასთან შედარებას დიად გაუძლებს, და არ დადუბულიყო იგი კატასტროფულად აზიის ურდოთა შემოსევით და მძლავრობით და არ ამოეწურა მისი ძალები შემდეგ საუკუნეთა ბრძოლას ზღვა მტერთა წინააღმდეგ, იგი ევროპის საგვესად განვიტარდებოდა და დღეს სულ სხვა სახე ექნებოდა მას, მთელ კავშირისა და მის მიდამო ადგილებსაც, ხოლო ახლა რა არის საქართველო?...

იცოდეს ახალგაზრდობამ, რომ საქართველო ევროპის კუთხეა; ამან განსაზღვრა თვისება მისი ისტორიისა და ბედი მისი. ამას გვასწავლის ევროპის ისტორია და ჩვენიც, განსაკუთრებით ისტორია ფეოდალიზმისა, ძველ - ფრანგულ - გერმანულია და ქართულისა. „ადამიანსავეთთან“ და „ჩრდილოეთთან“ არც ჩვენ წარსულს აქვს ნათესაობა, არც ჩვენ სულს. ჩვენი ხანმოკლე დამოუკიდებლობის დროსაც **1918-1921** წლებში სწრაფად განახლდა საქ-ს ძველი კავშირი ევროპასთან, დიდი ხნით შეწყვეტილი.

ნუ დაჰგომოს ახალგაზრდობა სარწმუნოებას და ნუ ეძიებს ეკლესიას. სარწმუნოება მოთხოვნილება ადამიანის სულისა დასაბამითვან და იქნება უკუნისაღმე, სანამ მსოფლიოში საიდუმლოებანი იქნებიან, რომელთაგან ყოვლის ხილვა და გაგება კაცის ბუნებას არ ძალუძს. მეცნიერებას თავის მიზანი აქვს, სარწმუნოებას თავისი საფუძველი, იგინი არ ეწინააღმდეგებიან ურთი-ერთს. - ეკლესიისაგან თავის დაცვა მაშინ სჭირდება ერსა და მის სახელმწიფოს, როდესაც იგი ადამიანის თავისუფალ აზრს სდევნის და მათაც ძირს უთხრის, თვით სურს სრულ ბატონობა და ყოველი საშუალებით იბრძვის მისთვის. ხოლო საქართველოს ეკლესია ეროვნული იყო, იშვიათად შეხვედრობა მას კონფლიქტი სახელმწიფოსთან. ერთობ იგი მას ემსახურებოდა, ქართველ ერს, - და რაც მას ღვაწლი მიუძღვის თვისი კულტურული შემოქმედებით, გავლენით უცხოეთში და შინ ერის აღზრდით და ერისათვის თავგანწირულებით, სხვა ეკლესიათა ღვაწლი მას ძნელად შეედრება. ქარ. ეკლესია არ იყო ფანატიური, აზრის მდგენელი და ინკვიზიტორული, კაცთა შემწველი, არც სექტებს შეუძღვრევა ცხოვრება მისი. წარმომადგენელი მისი არიან ძველნი: გრიგოლ ხანძთელი, მთაწმინდელები, პეტრიწონელი, ეფრემ მცირე და სხვანი; ახლნი: გაბრიელ ეფისკოპოსი, ამბროსი კათოლიკოსი და სხვანი. ასეთი ეკლესია ქართ. ერს და მის სახელმწიფოს მომავალშიც უდიდეს სამსახურს გაუწევს, ერის აღზრდისა, დისციპლინისა და მისთვის ბრძოლის საქმეში. არც საჭირო რეფორმებს შეუშინდება ქართული ეკლესია, ვითარცა არა ჩლუ-



ნგი ფანატიზმის სულით გაფლენილი. - ბლოს, სიკვირველი მნიშვნელობა ეკლესიის მით არ უნდა დაივიწყდეს ახალგაზრდობას, რომ ებრავთ ათასეულთა და სომეხთ საუკუნეთა განმავლობაში დაუცვა და გადაურჩინა ეკლესიამ მათი ეროვნული სახე.

ერთი უდიდესი მიზანთაგანი ახალგაზრდათა თვითაღზრდის დროს უნდა იყოს განვითარება დამოუკიდებელი აზროვნების ნიჭისა. თვისი აზრის ბატონი უნდა გახდნენ ახალგაზრდები, არა თუ აზრის მონანი გახდნენ. განსაკუთრებით სხვის აზრთა შეთვისება და მათ მონად გარდაქცევა ავენებს მათ ვახდნენ. მაგრამ "ხორცსაც", რათგანაც ამ მონობამ სხვის აზრთა შეიძლება მათ უდიდესი შეცდომანი ჩაადენინოს ცხოვრებაში მათი მოქმედების, მოღვაწეობის დროს. ასეთი ვნება ჩემთვისაც დიდი მოუყენებია სხვათაგან შეთვისებულ აზრებს. ამას არ ვფარავ და სიკვდილამდე ვინანებ. ქართველმა ახალგაზრდამ ქართული საზოგადოება გაზომოს ქართული საქმე და თვისი გონების მსჯავრით, რომელსაც ეპვი არ შეამღვრევს და სინიღისი არ შეებრძვის ჰქმნას იგი. „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გიგაზიროს!“

!!!

!!!

!!!

† მიხეილ წერეთელი

!!!

!!!

„თავისუფლების ტრიბუნა“ 5 წლისაა

ხუთი წელიწადი შესრულდა „თ.ტ.“-ს პირველი ნომრის გამოცვიდან. ჩვენ ამას აღვნიშნავთ არა იმ განზრახვით, რომ დადგინო გვირგვინი დაივიწყთ, არამედ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ორგანოს არსებობის პირველი მნიშვნელოვანი ნიშნისგან მოვავლობთ მის მკითხველებს და ვუთხრათ, რომ ის მომავალშიაც გააგრძელებს მის მისიას: კალმით იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის სასარგებლოდ.

„თ.ტ.“-ს თავის მოვალეობად მიაჩნია თანაგრძნობა და თანადგომა გამოუცხადოს საქ-ის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლებს, პირველ რიგში სამშობლოში, და შემდეგ გადმოხვეწილობაში.

ყველა ღირსეული პრესის ვალია პირველ რიგში ემსახუროს მის საზოგადოებას, ჩვენს შემთხვევაში გადმოხვეწილობაში მყოფ ქართველებს. მიუდგომოდ და მიუტყეობოდ გამოავლინოს ამ საზოგადოების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, გაამხნეოს სწორ გზაზედ მავალნი, უციუინოს გზაბანეულებს.

ამ ხუთი წლისთაგან, „თ.ტ.“ მაღლიერების გრძნობით ესალმება მსოფლიოში მიმოფანტულ მის ერთგულ თანამშრომლებს, თანამდგომებს, დამხმარეებს და ბეჯით მკითხველებს, ყველა მრწამსის, მიმდინარეობის და პარტიის მამულიშვილებს. თქვენთან ერთად ძვირფასო თანამემამულენო, ღვთის შეწევნით და ერთობლივი გარჯით, ჩვენი კინი წვეილი შევიტანით იმ დიდებულ ლაგრაში, რომელსაც ქართული ეროვნული საქმე ეწოდება.

„თ.ტ.“

უკანასკნელი ცნობები

ავღანისტანის კომუნისტურმა მთავრობამ, რომელსაც მოსკოვი მფარველობს, ბრალი დადვა ისლამურ ირანს მის საზღვრებში ოთხი ათასი ჯარისკაცის შეპარებაში, ისლამური ოპოზიციის დასახმარებლად. 19 მარტის გაზეთი „პრავდა“ წერს: „საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია რევოლუციური ავღანეთის შინაურ საქმეებში ჩარევის, სამხედრო პროვოკაციების და შეთქმულების მოწყობისა პაკისტანის, ირანის და ჩინეთის ტერიტორიებიდან.“

ამრიგად, სალომე დარბაისელის პოლიტიკური ანალიზი მართლდება სრულიად და უფრო ადრე, ვიდრე ეს შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო.

აქვე საჭიროა აღვნიშნოს, რომ ამ წლის დაწყებიდან უკვე მნიშვნელოვანი ამბები მოხდა მსოფლიოში. ჩინეთი არ შეუშინდა საბჭოებს და მისი ჯარები შეიჭრენ ვიეტნამში, როგორც ჩინეთი აცხადებს ვიეტნამის მთავრობისთვის „გაკვეთილის მისაცემად.“ კატობრობა შეაშფოთა ამ ამბავმა. ყველა შიშობდა, რომ საბჭოები თავის მხრივ თავს დაესხმოდნენ ჩინეთს და შეიძლებოდა მართლაც დაწყებულიყო მესამე მსოფლიო ომი.



საბჭოებმა ომის ქოფაკები შორიდან აყეფეს, მაგრამ მათი აშვება ვერ გაბედეს. ჩინეთის ხელისუფალთა წინასწარი განცხადებების თანახმად, დამსჯელი ოპერაციების სრულების შემდეგ, ჩინეთის ჯარებმა დატოვეს ინდოჩინეთის დაკავებული ადგილები და თავიანთ საზღვრებში დაბრუნდნენ. ამ დღეებში უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ჩინეთ-ვიეტნამის მთავრობებს შორის სადავო საკითხების მოსაგვარებლად.

თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე ეგვიპტესა და ისრაელს შორის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, რომელიც ამერიკის მთავრობის ენერგიული შუამავლობის წყალობით მოხდა ვაშინგტონში 26 მარტს, მაშინ ცხადი ხდება, რომ საბჭოთა ექსპანსიონიზმი, ამ წლის დამდეგიდან, მნიშვნელოვან მარცხზე განიცდის.

მამგალი

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო ფ უ რ ც ე ლ ი

მაიორი გიორგი ჯავახიშვილი

ამით გაცნობებთ, რომ ა.წ. 7 მარტს, ლონდონში გარდაიცვალა პოლონეთის ჯარის მაიორი გიორგი ჯავახიშვილი და მისი ცხედრის დაფერფლება მოხდა 17-ში, მისივე სურვილის მიხედვით.

გიორგი დაიბადა 1900 წელს, გიორგობისთვეში. ცხრა წლის ოდეს შესრულდა მშობლებმა გააგზავნეს ქ. სუშში, იქ არსებულ კადეტების კორპუსში. ოდეს იყო გიორგი კორპუსის მეშვიდე კლასში, რუსეთში მოხდა რევოლუცია. გიორგი დაბრუნდა საქართველოში და შევიდა სწავლის გასაგრძელებლად თბილისის ქართულ სამხედრო სკოლაში. ამ სკოლაში ყოფნის დროს, ბოლშევიკების ჯარები შემოესიენ საქართველოს და ოდეს მტერი თბილისს მოადგა, სკოლა გავიდა საომარ ასპარეზზე, ტახანძელას გორაკსა და ბეჭობებზე. საერთო ჯარების დახვედის დროს, სამხედრო სკოლაც იხვედა. გიორგი ჯავახიშვილიც სკოლასთან ერთად იყო, მუდამ მზად და მარაგად, რომ ფიცხლად ყოველი ბრძანება სათანადოდ შეესრულებია. ოდეს ერთი მეუქა ამ მხედრობისა ბათუმს გამოეთხოვა, გიორგი ჯავახიშვილიც სხვებთან ერთად სტამბოლში ჩავიდა.

სტამბოლში ყოფნის დროს, საქ. მთავრობამ ყველა მხედრების ცხოვრება მოაგვარა. ვისაც კი სურდა განეგრძო სამხედრო სამსახური, საქ. მთავრობამ ყველას მიცა ამის საშუალება. გიორგი ჯავახიშვილი ჩავიდა პოლონეთში, დაამთავრა ჯერ ფეხოსანი ე.წ. საერთო სკოლა, რის შემდეგ სწავლა განაგრძო განსაკუთრებულ ფეხოსან სკოლაში. ორი წლის შემდეგ, სკოლა დამთავრებული ახალგაზრდა ოფიცერი გააგზავნეს ქ. პოტრკოვში, იქ მდგარ 25-ე ფეხოსანთა პოლკში.

ოდეს პოლონეთი გერმანელების ჯარებმა დაიკავეს, სხვა მრავალ მხედრებთან ერთად, გ. ჯავახიშვილიც წავიდა საზღვარგარეთ. მან მიიღო მონაწილეობა ტბორტუის ბრძოლებში, იტალიის ბრძოლებში და მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს, ოდეს პოლონეთის ჯარებმა დატოვეს იტალია და ინგლისში ჩამოვიდნენ, მათთან ერთად ჩამოვიდა გ. ჯავახიშვილიც.

მთელი დრო 1939 წლიდან 1947 წლამდე, ჯავახიშვილის ოჯახი, ე.ი. მეუღლე და ორი პატარა ქალიშვილი, ცხოვრობდა პოლონეთში, საიდანაც გიორგიმ მოახერხა მათი აქ ჩამოყვანა და პატრონობა. ოჯახი დასახლკარა, შვილები გაათხოვა, და დაამთავრა ამ ქვეყნის ცხოვრება 78 წლის ასაკში.

იყო გიორგი მეტად წყნარი, თავმდაბალი, არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარე, დიდად ხელგაშლილი, ყველას დამხმარე, ყველას მიერ პატივცემული, არამხოლოდ ჩვენთვის-ქართველებისთვის, ყველანათვის ვინც მას იცნობდა. არასოდეს მისგან არავის არავითარი ავგორობა არც სენიდა და არც დაუწახავს. ყოველივე მედიდობისა, ტრამბოზა ან ამპარტანობა მისთვის იყო უცხო და საძულველი. მის მიერ ყველასთვის ხელის გაწევა, ყოველგვარ დახმარებამ და სიუხვემ ქნა ის, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ეწეოდა ჩვენი-ქართველების ჯგუფის თავმჯდომარეობას.

მიუხედავად ძალიან ცუდი ამინდისა, წმიდა სავს მართლმადიდებელ ეკლესიაში შეიკრიბა დიდძალი ხალხი. რა თქმა უნდა, რომ არცერთი ქართველი არ დაკლებია,



მაგრამ ყველა ჩვენგანისთვის დიდად სასიამოვნო იყო, რომ მიუხედავად მწუხრის დროისა უცხოელებით რომ აივსო საყდარი. პანაშვიდი გადაუხადა ეფისკოპოსმა მათემ, პოლონეთის ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიის მეთაურმა, რის შემდეგ ცხელად დაეცა ვაცილეთ „მოტლეიკის“ კრემატორიუმში, სადაც გიორგის გვამი დაფერულა.

საქ. სამხედრო სკოლიდან მისი ამხანაგი ვიტალი უგრეხელიძე

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას :

28.11.78-ში, პარიზის გარეუბანში გარდაიცვალა შალვა შავლაყაძე და დაკრძალულია 5 დეკემბერს ლევილის სასაფლაოზე.

11.12.78-ში, ქ. გერნოლში(საფრანგეთი), სადაც ის ოჯახით ცხოვრობდა, გარდაიცვალა ალექსანდრე(ალროშა) გამყრელიძე. დასაფლავებულია ადგილობრივ.

ა.წ. პირველ იანვარს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა კოლია გელაშვილი-დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

ა.წ. 30 იანვარს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, პარიზში გარდაიცვალა მიხეილ (მიშა) ნასყიდაშვილი. ორ თებერვალს დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

ა.წ. 21 თებერვალს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ვანო ენუქიძე. დაკრძალვა მოხდა 28 თებერვალს ლევილის სასაფლაოზე.

ა.წ. 7 მარტს, ლონდონში, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა პოლონეთის ჯარის მაიორი გიორგი(გოგი) ჯავახიშვილი. განსვენებულის სურვილით მისი ფერფლი უნდა მიბარდეს ლევილის სასაფლაოს.

აწ. პირველ მარტს, პარიზში, 92 წლისა გარდაიცვალა, ცნობილი მოღვაწის გიორგი გვაზავას მეუღლე, ქალბატონი ნინო, ასული ყაბარდოს ბატონად წოდებულ ჩერქეზიშვილთა, რომლებიც ქართლ-კახეთს იცავდნენ ლეკთა შემოსევებისაგან. 6 მარტიდან განსვენებული გვამი განისვენებს ქმრის გვერდით, „ბატინიოლების“ პარიზის საკრძალავში.

და ჩვენს ღრმად დამწუხრებულ სამიძმარს ვუცხადებთ მათ უნდა გვითხროს პირისუფლებს-

აღამიანები და წიგნები

Jobadze's Library

პავლე სარჯველაძის იუბილე

გასული წლის 25 სექტემბერს 80 წელი შეუსრულდა საქ. სოც. დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს თავმჯდომარეს და „ჩვენი დროშას“ რედაქტორს, ბატონ პავლე სარჯველაძეს. თავისუფლების ტრიბუნა ესალმება და კიდევ მრავალუამიერს უსურვებს, მისი პარტიისა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ.

პროფესორი დავით თორაძე

ვენეციულის დედაქალაქ კარაკასის უნივერსიტეტში სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის დამსახურებისათვის, უნივერსიტეტის საბჭომ, 1977 წლის ხუთ დეკემბერს, „ხოზე მარია ვარგას“(კორბატა) პირველი კლასის ორდენით დააჯილდოვა პროფ. დავით თორაძე. დ. თორაძე კარაკასის ცენტრალურ უნივერსიტეტში მსახურობდა 28 წლის განმავლობაში, როგორც პროფესორი-ტიტულარი და ექვსი წელი როგორც ფიზიკის დეპარტამენტის უფროსი, საინჟინერო ფაკულტეტზე. 1978 წლის მაისიდან პროფ. დავით თორაძე პენსიაზე გავიდა. მარშან ზაფხულში მეორედ გვეწვია პარიზში, მეუღლე ქალ-ონ ირენთან ერთად, დავსწრო ჩვენს საყდარში წირავა-ლოცვას და სახელეუბო დაანთო. ჩვენს გამოჩენილ თანამემამოლის დამოკრებული აქვს წარჩინებით თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.



ჩვენი მოძმეები თურქეთიდან

გასული წლის ზაფხულში და ამ წლის დასაწყისში, ორჯერ გვეცემოდნენ ჩვენი მოძმეები თურქეთიდან. სიამოვნება აღუწერელი. უყურებ: სრულიად გერულ-აქარულ-მეგრული სახეები. ქამა, სმა, მიხვრა-მოხვრა, სტყვა-პასუხი სწორედ ჩვენებური. იგივე ღომის, მქალასი და ლობიოს მჭამელები. თუმცა ქართ. სიტყვების მარაგი ღარიბი აქვთ, სუფთა ძველქართულს მტყვევებენ. უკვირთ ზოგიერთმა ჩვენმა ახალგაზრდამ რომ ქართული არ იცის. ცხოვლად აქვთ გაღვივებული ეროვნული გრძნობები. ძალიან სურთ წერაკითხვის სწავლა, მაგრამ არ აქვთ სკოლები, არ გააჩნიათ წიგნები. ქართული ენის და კულტურის გავრცელებისთვის მოქმედი ჯგუფი თავმოყრილია ზ-ნ აჰმედ-ოსკან მელაშვილის ირგვლივ, რომელიც სხვათა შორის ვეფხისტყაოსანსაც თარგმნის თურქულად. სტოკჰოლმში სცემენ კავკასილოლოგიურ კრებულს, რომლის 4-5 ნომერი სწორედ ამ დღეებში მივიღეთ.

გთხოვთ ყველას, ვისაც ზედმეტად გაქვთ დედაენა, ქართულ-თურქული, ქართულ-ინგლისური, ქართულ-ფრანგული, ქართულ-გერმანული სიტყვარები და სასაუბროები. ასევე ადვილად საქითხავი ქართული წიგნები, გამომავიგზავნით რედაქციაში და შემდეგ ჩვენ მათ გადავუგზავნით. წინასწარი მადლობით, „ო.ტ.“

ანდრე ბარკალიაის რომანი "Des conquerants imprévus"

ფრანგული წიგნის ბაზარზე, გასულ წელს გამოვიდა ჩვენი კარგი თანამემამულის და უფროსი მეგობრის ანდრე(აკაკი) ბარკალიაის ფრანგულ ენაზე დაწერილი რომანი „მოულოდნელი დამპყრობელები“, გამოცემული „ლა პანსე უნივერსელ“-ის მიერ. ავტორს არ აკმაყოფილებს დღეს ქვეყნიერებაზე არსებული არც ერთი საზოგადოება, და ის თავის ცხოველი ფანტაზიით ქმნის ახალს, სადაც სუფევს მშვიდობა, სამართლიანობა და თავისუფლება. ამ იდეალურ საზოგადოებას, ბარკალია ათავსებს უცნობ მიწისქვეშა ქვეყანაში, რომელსაც „აფრაზი“ ეწოდება.თემა ძველი, მაგრამ შინაარსი და ქარგა ბარკალიასეული. წიგნი სიამოვნებით იკითხება და მნიშვნელოვანიცაა სულიერი ამაღლებისთვის. საფრანგეთში ძნელია უცნობმა და ისიც უცხოელმა ავტორმა ლელო გაიტანოს, მთ უფრო ვუსიტყვებთ ბატონ აკაკის დიდ წარმატებას. „ო.ტ.“

ო.ტ.-ს შემოწირულებები ფრანგულ ფრანკებში 23-ე ნომრიდან მარტის ბოლომდე

ელენა და შალვა ცინცაძეები-----	422,10	გრიგოლ წერეთელი-----	100,00
ლიდა ნასყიდაშვილი -----	50,00	არჩილ მჭედლიშვილი-----	100,00
უსახელოშვილი -----	50,00	ა. გამსა -----	50,00
უცნობიშვილი -----	50,00	ვ. მეგრელიშვილი ----	100,00
ირაკლი ოთხმეზური -----	150,00	მელიტონ ჟღენტი -----	100,00
გიორგი ჯაყელი -----	105,89	ნელი და რევაზ ვოდ -----	200,00
კარლო გვარჯალაძე -----	66,99	გედევან ასათიანი ---	100,00
ქრისტ. იმნაიშვილი -----	50,00	კონსტანტინე ალშიბაია	100,00
გერასიმე ბოლქვაძე -----	100,00	იონა გუნია -----	50,00
დემიტრი გოგიშვილი -----	42,27	რაფიელ ჯაში -----	200,00
დემიტრი მახარაშვილი -----	191,00	დავით ვაშაძე -----	300,00
მართა სტურუა -----	50,00	ტარასი წულაძე -----	100,00
ვიტალი უგრეხელიძე -----	16,50	მარი შენგელია -----	100,00
ტიტიკო ჩხეიძე -----	28,16	გიორგი კორძახია -----	230,41

სულ ----- 3.202,82 ფრანკი

შემდეგი ნომრისთვის გადაიღვა : გიორგი ჯაყელი-„ღაღადი, ტრანსლიტერაცია და მრავლობითი რიცხვი“, როზა აბნერაშვილი - ლექსებიდა მისივე თარგმნილი „რუსულიდან, ალექსანდრე ზინოვიევის „პირდაღებული მადლობები“, შალვა ზედგინიძე - „ორასი წლის ქართული ისტორია“, პავლე სარჯველაძე - „საბჭოთა მეურნეობის შეფასება“, გასული წლის ქრონიკები და სხვა.